# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 10 მარტი. 2020 წ. №43 (8969) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 60 თეთრი


მთავარი თემა

## საარჩევნო ყუთის გვერდის ავლით უპირატესობას ვერავინ მოიპოვებს!

**— ყველა პირობა, რაზეც ჩვენ შევთანხმდით, რომელსაც ხელს აწერენ დიალოგში მონაწილე პოლიტიკური პარტიები და შეთანხმების პირობები არის საჯარო. ვისაც ექნება კითხვები, რას მოეწერა ხელი, ან დაავიწყდა, რა წერია შეთანხმების პირობებში, ყველას ვურჩევდი, რომ გადაიკითხოს ეს დოკუმენტი,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

**„ჩვენ, 2012 წლის შემდეგ გვაქვს დემოკრატიული და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ისტორია, რასაც ძალიან ვუფრთხილდებით. საპარლამენტო არჩევნებიდან არჩევნებამდე მიღწეული პროგრესი და გაუმჯობესება ასახულია სადამკვირვებლო ანგარიშებშიც. ქვეყნის გრძელვადიანი განვითარება და უსაფრთხოების განმტკიცება შეუძლებელია დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების გარეშე — ამიტომ, ჩვენ ყველამ ერთად გადავდგით ნაბიჯები და ვაჩვენეთ საზოგადოებას, ვაჩვენეთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემა მდგრადია და ჩვენ მზად ვართ დემოკრატიის შემდგომი გაძლიერებისთვის“,** — აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

**„მომავლისთვის მნიშვნელოვანია ხედვა, გეგმები და კადრები, რომელიც ყველა მოქალაქეს აინტერესებს ამ ქვეყანაში. ჩვენ გვსურს და შეგვიძლია ეკონომიკური ზრდის გაგრძელება, უსაფრთხოების განმტკიცება, ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და განათლების სისტემის რეფორმა. ჩვენი მიზანი კვლავ იქნება გაწევრიანება ევროკავშირსა და ნატოში. ჩვენ მომავალზე ვართ ორიენტირებული და გვსურს პროგრესის გაგრძელება, ჩვენს ოპონენტებს კი სურთ უკან დაბრუნება. გადაწყვეტილებას მოქალაქეები მიიღებენ არჩევნების გზით. არავის მივცემთ საშუალებას, რომ საარჩევნო ყუთის გვერდის ავლით მოიპოვოს რაიმე უპირატესობა. ეს არის შეუძლებელი და გუშინდელმა შეთანხმებამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

## არის „მშვიდობა ზეთისხილის ბაღში“?..

## „ჯიუტი თხები“ მორიგდნენ, შეურიგდება თუ არა ამ აბსურდს საქართველო?!

(3)

ირაკლი გოგავა:

## ქართველების გაღარიბების შეჩერება შესაძლებელია...

(9)

ჯემალ გამახარია:

## დღეს აფხაზეთში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ თავის გადარჩენისთვის აუცილებელია ქართველებთან შერიგება

(5)

## თუ ყურადღებით არ ვიქნებით, საქართველოს ჩინურ კორონავირუსზე უარესი საშიშროება ემუქრება!

(6)

(6)

## მსოფლიო ეკონომიკა ვარდნას ვერ გადაურჩება

## ევროპის მრავალ ქვეყანაში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა იზრდება

(9)

## ჩვენ საუკეთესო კულტურულ დედაქალაქში ვცხოვრობთ!

### თბილისი LCD BERLIN AWARDS-ის გამარჯვებულია

**ბერლინში ჩატარებულ კონკურსზე თბილისი 2020 წლის „საუკეთესო კულტურულ ქალაქად“ დასახელდა. LCD Berlin Awards გლობალური კულტურული სამოგზაურო ქსელისა და VisitBerlin-ის ერთობლივ ცერემონიალზე საქართველოს დედაქალაქმა გაიმარჯვა.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოსამზადებელი სამუშაოები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გასწია.

თბილისის კონკურენტები მსოფლიოში ცნობილი სხვადასხვა ტურისტული ქალაქები იყვნენ.

LCD Awards-ის დაჯილდოების მე-6 ცერემონიალზე 28 ქვეყნის 50 კულტურული მიმართულება იყო წარმოდგენილი. სხვადასხვა ჯილდო 18-მა ტურისტულმა მიმართულებამ მიიღო.

LCD Awards მიზანია ტურისტებს უახლესი სამოგზაურო ადგილების აღმოჩენაში დაეხმაროს, რომელიც კულტურულ და სათავგადასავლო მიმართულებას მოიცავს.

LCD Berlin Awards-ის 2020 წლის გამარჯვებულები საერთაშორისო ჟიურიმ შეარჩია, სადაც The New York Times-ის ევროპის კულტურის მიმართულების რედაქტორი და კულტურის სფეროს ცნობილი წარმომადგენლები შედიოდნენ. სპეციალური ჯილდო გერმანიაში საქართველოს საელჩოს გადაეცა.



## პრეზიდენტმა დიპლომატებს მადლობა გადაუხადა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მიესალმება პოლიტიკურ პარტიებს შორის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას და პირადად უხდის მადლობას საერთაშორისო თანამეგობრობასა და იმ ელჩებს, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს და დიდი წვლილი შეიტანეს შეთანხმების მიღწევაში. ასევე ყველა იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მონაწილეობდა ამ დისკუსიებში.

**„გუშინ მიღწეული შეთანხმება საზოგადოების, ქვეყნისა და დემოკრატიისათვის წინგადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც ყველასთვის სასიხარულოა“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სამეგრელოში ჟურნალისტებთან საუბრისას.

## თუ მე ჩავთვლი საჭიროდ, შეწყალების აქტს მივიღებ!

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, შეწყალების ყველა მოთხოვნა იქნება განხილული კანონის მიხედვით და იმ შემთხვევაში, თუ კი პრეზიდენტი ჩათვლის საჭიროდ, მიღებული იქნება შეწყალების აქტი.

**„შეწყალება ექვემდებარება წესებს, რომლებიც მიღებულ იქნა ამ წელს. რაც არ უნდა იყოს მოთხოვნა, რომელიც შემოვა, ყველა მოთხოვნა იქნება განხილული ამ წესების მიხედვით. ყველა მოთხოვნას მივიღებ, წავიკითხავ, ვნახავ, გავეცნობი და თუ სადმე საჭიროება იქნა, თუ მე ჩავთვლი, რადგან ეს არის დისკრეციული უფლება, რომ შეწყალება უნდა შედგეს, მიღებული იქნება შეწყალების აქტი. რას ნიშნავს ეს, წესები წაიკითხეთ და გაიგებთ. არ არსებობს ამ ქვეყანაში ცალკე ადამიანები, რომლებზეც ვრცელდება ცალკე რეგულაციები, ყველა მოქალაქისათვის არის ერთი რეგულაცია და ყველა მოქალაქემ იცის, როგორ უნდა მიმართოს პრეზიდენტს“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებთან.

## გიორგი გახარია: საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება წინგადადგმული ნაბიჯია

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია სოციალურ ქსელში წერს.

**„ეს შეთანხმება დემოკრატიის განმტკიცების, პოლიტიკური გარემოს დასტაბილურების, ქვეყანაში პოლარიზაციის შემცირებისა და საარჩევნო წელს ქვეყნის სტაბილური, მათ შორის, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.**

**მადლობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს შეთანხმების მიღწევაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის“...**

## მთელი გურია ერთი ოლქი იქნება!

**საპარლამენტო** **უმრავლესობის წარმომადგენლის ირაკლი კობახიძის განცხადებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული ოლქების საზღვრებსა და ბლოკების საკითხთან დაკავშირებით, ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის კონსულტაციები გაიმართება. ამის შესახებ კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.**

მისივე თქმით, ერთპროცენტიანი ბარიერის პირობებში, გადაუნაწილებელი მანდატები პრაქტიკულად არ რჩება.

**„ჩვენ გავაგრძელებთ კონსულტაციებს ბლოკის თემასთან დაკავშირებით. გვაქვს ჩვენი არგუმენტები, დაველოდებით არგუმენტებს ოპოზიციის მხრიდან და ამის საფუძველზე შევაჯერებთ პოზიციებს. რაც შეეხება საზღვრების გადანაწილებას, სასურველია, რომ ეს საზღვრები უკვე აისახოს იმ პროექტში, რომელიც იქნება ოთხშაბათამდე ან ოთხშაბათს ინიცირებული.**

**შესაბამისად, ჩვენ, ალბათ, ხვალინდელ დღეს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ დავსხდეთ ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად და განვსაზღვროთ ოლქების საზღვრები. ეს არის არსებითად ტექნიკური საკითხი, დიდი ლავირების საშუალებას არ ტოვებს ის პრინციპი, რომელზეც შევჯერდით, ანუ საუბარია ევროსაბჭოს რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც, უნდა იყოს დაცული თანაბრობის პრინციპი.**

**30 ოლქზე უნდა გადანაწილდეს, განისაზღვროს საზღვრები. თბილისის უწევს 7-8 მანდატი იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება ზუსტად საზღვრები. რამდენიმე ქალაქს უწევს თითო მანდატი, ეს არის ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი.**

**სხვა შემთხვევაში სხვადასხვა ვერსია შეიძლება არსებობდეს საზღვრების გადანაწილების, თუმცა ლავირების საშუალება მაინცდამაინც დიდი არ არის.**

**არის შემთხვევები, როდესაც ერთი რეგიონი უნდა იყოს, ალბათ, ერთი საარჩევნო ოლქი. მაგალითად, მთელი გურია იქნება ერთი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, სხვა შემთხვევაში, ორ ნაწილად, სამ ნაწილად, ოთხ ნაწილად შეიძლება გაიყოს რეგიონები...**

## კახა კალაძე: ქართული დემოკრატია სწრაფად ვითარდება!

**„ქართული დემოკრატია სწრაფად ვითარდება „ქართული ოცნების“ პირობებში“,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წერს.

**„ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია კონსენსუსს ოპოზიციასთან 2020 წლის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, 120/30-ზე 1%-იანი ბარიერით. ქართული დემოკრატია სწრაფად ვითარდება „ქართული ოცნების“ პირობებში“,** — აღნიშნავს კახა კალაძე.

## ნინო ბურჯანაძე: ყველა ოლქში შეთანხმება თვითმიზანი არ არის...

**ოპოზიციური** **მაგიდა თავის საქმიანობას გააგრძელებს, რადგან საბოლოოდ ამ შეთანხმების რეალიზება არ მომხდარა, აქედან გამომდინარე, ოპოზიციური ერთობა აუცილებელია და ვფიქრობ, რომ ეს ერთობა შემდგომშიც უნდა შენარჩუნდეს იმისათვის, რომ ოპოზიციის მოქმედებები კოორდინირებული იყოს,** — ამის შესახებ ჟურანლისტებს „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში გუშინ გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი იყო მაჟორიტარულ ოლქებზე და პირველი ამოცანაა, რომ შეჯერდეს მაჟორიტარული ოლქების საზღვრები. **„თვითმიზანი არ არის ყველა ოლქში შეთანხმება. ჩვენ შევეცდებით, რომ ოპოზიციის მხრიდან ისეთი კანდიდატები იყოს წარმოდგენილი, რომელიც საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის მისაღები იქნება. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი და ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს ხელისუფლების უზურპაციისაკენ ნაბიჯების გადადგმას“,** — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

## „დელტას“ ზურაბ აზარაშვილი უხელმძღვანელებს

**სახელმწიფო** **სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „დელტას“ თანამშრომლებს ზურაბ აზარაშვილი პირადად წარუდგინა.**

ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას „დელტას“ პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება. მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ ახალი მენეჯმენტისთვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი თანამშრომლებისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა იქნება.

**„ჩვენი მთავარი მიზანია, „დელტაში“ მომუშავე თითოეული თანამშრომელი იყოს კმაყოფილი. ჩვენ უზრუნველვყოფთ მათი პოტენციალის სწორად გამოყენებას ქვეყნის გასაძლიერებლად“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. „დელტას“ ახალ დირექტორს ზურაბ აზარაშვილს კომერციულ სტრუქტურებში მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს.

## გენერალურ პროკურატურაში საკადრო ცვლილებებია...

**საქართველოს** **გენერალურ პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. უწყების ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობა თეიმურაზ ნაჭყებიამ დაიკავა.**

მანამდე თეიმურაზ ნაჭყებია საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელი იყო. ბოლო წლებში მას საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა პოზიცია ეკავა.

ასევე უწყებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელი რევაზ ბაღაშვილი გახდა. ამ თანამდებობის დაკავებამდე, რევაზ ბაღაშვილი საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

## ბარათაშვილის ქუჩაზე ზონალურ-საათობრივი პარკირება დაიწყო

**ბარათაშვილის ქუჩაზე დღეიდან ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ამოქმედდება. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.**

უწყების ცნობით, ქუჩაზე 65 საპარკინგე ადგილით ხუთი ლოკაციაა გამოყოფილი, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება ფასიანი იქნება (1 საათი — 1 ლარი). ზონალური პარკინგის ადგილებზე ავტომობილის მფლობელებს შესაძლებლობა ექნებათ, სატრანსპორტო საშუალება 15 წუთით უფასოდ (სხვადასხვა ლოკაციაზე დღეში ოთხჯერ) გააჩერონ. ასევე, გამოყოფილია უფასო ადგილები ტაქსის მძღოლებისთვის და შშმ პირთათვის. იმ პირებს კი, რომელთაც ზონალური პარკირების არეალში უძრავი ქონება აქვთ, 100 მეტრის რადიუსში, ორ ავტომობილზე უფასო პარკირებით ისარგებლებენ.

რაც შეეხება პარკინგის საშვს, მისი შეძენა სწრაფი გადახდის აპარატებში, ასევე, თბილისის პარკინგის ვებგვერდზე (www.parking.tbilisi.gov.ge) და ყველა ტიპის სმარტფონიდან, მობილური აპლიკაციების საშუალებით არის შესაძლებელი. პარკირების საფასურის გადახდა ელექტრომობილების მფლობელებზე არ ვრცელდება და მათთვის აღნიშნული სერვისი უფასოა. ზონალურ-საათობრივი პარკირება კოტე აფხაზისა და აბანოს ქუჩების ნაწილზე, ასევე, ორბელიანის მოედნის მიმდებარედ უკვე მოქმედებს. ზონალური პარკირებისთვის ბარათაშვილის ქუჩის ჩათვლით, სულ 478 ადგილით 56 ლოკაციაა გამოყოფილი.

## მასშტაბური საგზაო სამუშაოები ოქროყანაში

**მთაწმინდის** **რაიონის გამგეობა შემოერთებულ ტერიტორიებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კიდევ რამდენიმე პროექტს ახორციელებს.**

გზის სრული რეაბილიტაცია ამჯერად, ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩაზე მიმდინარეობს. მასშტაბური სამუშაოების ფარგლებში, 2 500 კვ.მ ფართობზე დაიგება ორფენიანი ასფალტი, მოეწყობა ბორდიური, ტროტუარები და სანიაღვრე ქსელი. ქუჩის კეთილმოწყობის პროცესს მთაწმინდის რაიონის გამგებელი დავით კირკიტაძე გაეცნო.

**„აღნიშნულ მისამართზე მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტი არასდროს ჩატარებულა. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას მოუგვარდება გადაადგილების პრობლემა. ჩვენ ინტენსიურად განვაგრძობთ შემოერთებულ ტერიტორიებზე მსგავსი მასშტაბური პროექტების განხორციელებას“,** — აღნიშნა დავით კირკიტაძემ. საგზაო სამუშაოებისთვის მთაწმინდის გამგეობის ბიუჯეტიდან 250 000 ლარი დაიხარჯება. ინფრასტრუქტურულ პროექტს კომპანია „პარმა“ ასრულებს.



# „ჯიუტი თხები“ მორიგდნენ, შეურიგდება თუ არა ამ აბსურდს საქართველო?!

**მითი საქართველოს დამოუკიდებლობაზე, გუშინ კიდევ ერთხელ საპნის ბუშტივით გასკდა – ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიღწეული „შეთანხმება“ არა მარტო აზრს უკარგავს არჩევნების ჩატარებას საქართველოში, არამედ, ხაზგასმით ამტკიცებს, რომ ხალხის (ამ შემთხვევაში, იგულისხმება ამომრჩეველი) აზრი ჩვენს „სტრატეგიულ“ პარტნიორებს, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდიათ!**

**„ჯიუტი თხები“ კი მორიგდნენ, მაგრამ, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეურიგდება თუ არა ამ „შეთანხმებას“, ქართველი ამომრჩეველი?!**

ახლა ლაპარაკი იმაზე, რომ ხელისუფლება იძულებით (მუშტების ქნევით) დაიყოლიეს ამ შეთანხმებაზე, ვერაფერი ნუგეშია საქართველოს პერსპექტივისთვის. პირიქით, არჩევნების პროცედურასთან დაკავშირებული კაკაფონია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ოკეანისგაღმელთა და მათ სატელიტთა დაჟინებული მოთხოვნა (რომელიც ლამის რეკომენდაციად მონათლონ) და ამ მოთხოვნის უსიტყვო შესრულება ხელს უწყობს არა მარტო ნიჰილიზმის გაღრმავებას საზოგადოებაში, არამედ, გვაფიქრებინებს, რომ არჩევნების შედეგები წინასწარაა გათვლილ-გაანგარიშებული და ამომრჩეველთა მცირე ნაწილის მონაწილეობაც კი გაფორმდება, როგორც დემოკრატიული პროცესების შედეგი!

საკუთარ სტატიებსა და ფეისბუქ-სტატუსებში მრავალგზის მითქვამს პროპორციული სისტემის აბსურდულობაზე საქართველოში (არადა, საქართველო კონსტიტუციით 2024 წლიდან ეს უკვე დაკანონდება).

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რას ვგულისხმობ სიტყვა „აბსურდულობაში“.

არჩევნების პროპორციული სისტემა ჩვენს შემთხვევაში ნიშნავს, რომ ხმას ვაძლევთ უიდეო, სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის არმქონე, ბოლომდე გაკოტრებულ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა უკან დგას რამდენიმე ოდიოზური ფიგურა (შეიძლება პირდაპირ დავარქვათ სახელი – **პროვოკაციებსა და სახელმწიფოს ღალატში** დახელოვნებული პერსონები). სამწუხაროდ, საქართველოში დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან დღემდე ვერ მოხერხდა, ჩამოყალიბებულიყო პროფესიული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც მორალური უფლება ექნებოდათ სახელმწიფოს მართვაზე, რომლებიც ობიექტურად გაიაზრებდნენ იმ გამოწვევებს, რასაც თანამედროვე ეპოქა გვთავაზობს!

ახლა, რაც შეეხება გუშინდელ „ისტორიულ“ შეთანხმებას: როგორც გვამცნეს, არჩევნები ჩატარდება ე.წ. შერეული სისტემით 120X30-ზე და 1-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერით.

დავიწყოთ იქიდან, რომ 30 მაჟორიტარის არჩევა ხელოვნურად გამსხვილებულ ოლქებში იქნება სრული აბსურდი, როგორც ორგანიზაციული (ტერიტორიული), ასევე ფინანსური თვალსაზისით. ჯერ ერთი, მაჟორიტარობის პოტენციურ კანდიდატს საარჩევნო კამპანიის წარმოება მოუწევს ტერიტორიულად დაშორებულ სხვადასხვა რაიონში, რაც არაეფექტურ რეალობას ქმნის ამომრჩევლებთან საკუთარი პროგრამის მიტანის თვალსაზრისით. მეორეც, თუ ქართული ცნობიერებით მოვუდგებით, ის, ვინც მეტ-ნაკლებად მისაღები შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული რაიონისთვის, ასევე მიუღებელი შეიძლება გახდეს მეორე ტერიტორიული ორგანოსთვის. ამ შემთხვევაში, ყველაზე საუკეთესო „წამალი“ ადგილებზე ადმინისტრაციული რესურსების მობილიზებაა, რომლის გამოცდილება ჩვეს ხელისუფლებს ნამდვილად არ აკლიათ.

ვის რაში სჭირდება ასეთი ფორმალობა? ალბათ იმას, ვინც არჩევნების ასეთი წესი შემოგვტენა. არადა, ჩვენ რომ ნამდვილად არ გამოგვადგება, ამის გაგებას საარჩევნო ტექნოლოგიების ზედმიწევნით ცოდნაც არ სჭირდება!

რაც შეეხება პროპორციული სისტემის „სიკეთეს“, ჩვენში არსებული პოლიტიკური რეალობისა და ჩვენნაირი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნისთვის, სრული მარაზმია, რადგან, როგორც ადრე აღვნიშნე, საქართველოში რეგისტრირებული ყველა პარტია ერთად რომ გადაადნო, ერთი პროფესიული პოლიტიკური სუბიექტიც არ გამოვა... და ეს არა მარტო იმიტომ, რომ სოკოებივით მომრავლებული ე.წ. პარტიები გარეშე ძალებიდან ფინანსდებიან, არამედ, იმიტომაც, რომ საქართველოში დღემდე მოთხოვნა არ ყოფილა ისეთ პროფესიულ სუბიექტებზე, რომელთაც ექნებოდათ პასუხისმგებლობა არა მარტო ავანსად გაცემული დაპირებების შესრულებაზე, არამედ, სახელმწიფოს პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

გუშინდელმა „შეთანხმებამ“ აშკარად დაადასტურა, რომ მისი უდიდებულესობა - „ქართველი ამომრჩეველი“ ბოლომდე დაიგნორებულია და მისი აზრი არავის აინტერესებს, რაც არჩევნების მიმართ ხალხის დაინტერესებას კიდევ უფრო აკნინებს.

რაც შეეხება 1-პროცენტიან ბარიერს, ეს არის ბოლო ლურსმნის დაჭედება ქართული „პოლიტიკის“ კუბოზე – მომავალში ჩვენ გვეყოლება „ჭ“ კლასის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ე.წ. საკანონმდებლო ორგანო, რომლის მთავარი ფუნქცია პოლიტიკური ვაჭრობა იქნება!

**ზაურ ნაჭყებია**

რამდენად იაფად გაიყიდება საქართველოს ინტერესები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს...

**P.S.** **არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იხეირა გუშინდელი ე.წ. „ისტორიული შეთანხმებით“ – სამწუხაროა, რომ საქართველო დამარცხდა.**

**ურიგო არ იქნება, თუ ამერიკელ სენატორს, ბ-ნ კიზინგერს ოფიციალურად მივანიჭებთ საქართველოს „ნამესტნიკის“ სტატუსს. გვეცოდინება მაინც, ვის უნდა შევციცინებდეთ თვალებში.**

**ზ. ნ**

# არის „მშვიდობა ზეთისხილის ბაღში“?..

## რა საამურ დროში ვცხოვრობთ!..

**მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ საკითხზე მაინც შეთანხმდნენ, მაგრამ ეს „ერთი“ ამჯერად, მოცემულ მომენტში, სწორედ რომ მთავარი და ძირითადია, რამაც უნდა დაასრულოს რამდენიმეთვიანი ბრძოლა და ღრიანცელი.**

ეს „საუკუნის შეთანხმება“ რამდენიმეპუნქტიანია და ყოველი მათგანი „გულს ახარებს“:

თუ პარტია არჩევნებში ხმების 40 პროცენტზე ნაკლებს აიღებს, ის ვერ შეძლებს პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას და შესაბამისად, მთავრობის დაკომპლექტებას;
– დაწესდა 1%-იანი ბარიერი, ხოლო პროპორციულ-მაჟორიტართა რაოდენობა განისაზღვრა ასე – 120:30;
ხელისუფლებამ ციხეებიდან უნდა გამოუშვას ის ტანჯული პოლიტპატიმრები, რომლებიც... საერთოდ არ ჰყავს, მაგრამ, მაინც. თავისუფლება ანჯელა დევისს! საერთოდ კი, არჩევნების წელს შეიზღუდება „პოლიტდაპატიმრებები“. მართლმსაჯულება რჩება პოლიტპროცესებისგან თავისუფალი...

ერთი სიტყვით, უკვე „მშვიდობაა ზეთისხილის ბაღში“! თალაკვაძე, ვაშაკიძე (სელაპა), ბოკერია და ბურჯანაძე ერთად ცეკვავენ პატარა გედების პარტიას. „რამ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-აა, რამტატატაააა!.. რაც კარგია, კარგია! მაშ სულ კისკისითა და ცეკვა-სიმღერით მივსულვართ არჩევნებამდე.

არადა, „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რევოლუციას არ გამორიცხავდა: თუ ხელისუფლება ოპოზიციაზე ზეწოლას გააგრძელებს, მოვლენები შეიძლება რევოლუციური სცენარით განვითარდესო.

ქალბატონი ნინო გულთმისანი ქალია, კიდევ კარგი, მისი წინასწარხედვა არ ახდა (როგორც საერთოდ, არ ახდება ხოლმე), თორემ შემოდგომაზე მოგვიწევდა რევოლუციის ბარიკადებზე დგომა ქრიზანთემებით ხელში.

სერგი კაპანაძეც უიმედოდ იქექავდა უდღეურ ბლანჟეს: „მორჩა, შეწყდა მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან. ეს საკითხი აღარ გადაიხედება, არ შეიძლება მოლაპარაკება ტერორისტებთან (ვითომ, ოცნებელებთანო), არავითარი დიალოგი არ იქნებაო. ისტერიკულად, ოღონდ „გულთმისნურად“ წერდა იგი სულ რაღაც ორი კვირის წინათ...

**გასული** კვირის ღირსშესანიშნავ მოვლენათა შორის უნდა აღინიშნოს დიდი სტუმრიანობა კიევში. უკრაინაში ხუთდღიანი წარმატებული ტურნე ჰქონდა ჩვენს დიდებულ სუხიშვილების ანსამბლს, ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვეს და ანსამბლის ხელმძღვანელები „ყველასგან მიტოვებულ“, ავადმყოფ საკაკაშვილს როკვა-როკვით ესტუმრნენ. მათი ვიზიტი ღირსშესანიშნავ მოვლენას დაემთხვა: ანტვერპენში მოღვაწე ქართველმა მოქანდაკემ დავით ნათიძემ კიეველ შინაყუდას ჩამოუტანა და სახლის ეზოში დაუდგა თავისი ნახელავი ქანდაკება – „ქალის ტორსი“. სწორედ მის გახსნას დაესწრნენ ნინო და ილიკო სუხიშვილები, ამ ანსამბლის ადმინისტრატორი, შალვა რამიშვილის ყოფილი თანამეცხედრე ხატია ეკიზაშვილი და „როიტერის“ ბიუროს ხელმძღვანელი საქართველოში მაკა ანთიძე, ექსპრეზიდენტის მიერ თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოზე ბედნიერი სტუმრები და მასპინძელი „ტორსის“ ფონზე ილხენენ, ოღონდ ეს საყოველთაო ლხენა ვერ ფარავს მიშა სააკაშვილის შუბლზე ჩამოწოლილ ღრუბლებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების, კერძოდ, იმის გამო, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია შეიძლება რამეზე შეთანხმდნენ, თუნდაც იმაზე, რომ არჩევნებამდე ერთმანეთს ხარაკირი არ გააკეთებინონ ყოვლად სულელურ, არავისთვის საჭირო რევოლუციაში, რომლის გარდუვალობასაც ზოგიერთი განსაკუთრებულად „დაკვირვებული“ პოლიტიკოსი ვარაუდობს.

**არადა**, ახლა რევოლუციის, სამოქალაქო ომის და ერთმანეთისთვის კვერნებივით ყელის გამოჭმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ იმაზე, რომ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები შეიძლება საერთოდ, საპნის ბუშტივით გაგვიქრეს და დაგვეკარგოს. ეს შავბნელი ფიქრი მომგვარა რუსული ტელეარხის გადაცემამ „საღამო ვლადიმერ სოლოვიოვთან ერთად“. ამ ტელეარხის წარმატებულმა წამყვანმა ვ. სოლოვიოვმა, რომლისაც რუსეთში ძალიან ბევრს სჯერა, რაც მთავარია, მრავალი მაყურებელი ჰყავს, იმ საღამოს „გაოცებულმა და აღშფოთებულმა“ ასეთი რამ განუცხადა მილიონობით მაყურებელს: წარმოგიდგენიათ, დღეს რუსეთს გარს ახვევია აბეზრები, რომლებიც მას ტერიტორიებს ედავებიანო. და ჩამოთვალა: იაპონია, საქართველო, უკრაინა...

აი, ასე! წადი და ამის შემდეგ ბაჩუკი ქარდავას ედისკუსიე პოლიტპატიმრობის არსზე, ან აშშ ელჩს, ქალბატონ კელი დეგნანს შეჰბედე პროტესტი „ენდიაისა“ და „აირაის“ საეჭვო კვლევებზე, როცა ის უაპელაციოდ გიცხადებს „რადიო თავისუფლების“ ინტერვიუში (არა მარტო გასაგებად, არამედ სამომავლოდ გასასიგრძეგანებლად) „ენდიაისა“ და „აირაის“ ენდობიან არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოშიო. ელჩის ეს ამბრაზურაზე მკერდით გადაფარება მხოლოდ „პატრიოტული ალიანსის“ გულის მოსაკლავად როდი გაკეთდა...

**თითქოს** ღმერთი გვსჯისო, გვეგონა, სადარდებელი და საფიქრალი გვაკლდაო და დაუცდენლად მოგვადგა კორონავირუსი, რომელმაც ერთხანს გამოსაცდელად გარს გვიარა, მაგრამ ბოლოს მაინც შემოგვიღო კარი. აუგს ვერ იტყვი: ქვეყანა, რაც კი შეიძლებოდა, მოემზადა ამ განსაცდელისთვის, რომელიც უკვე მსოფლიოს მოედო.

მოემზადა და ჯერჯერობით, თვით ოპოზიციის აღიარებითაც კი, ღვთის მადლით, მედგრადაც ერკინება ამ ვერაგ დაავადებას, რომელმაც როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ მოხდენილად თქვა, არ იცის, ვინ ვისი შვილია, ანუ შერჩევით არავის აავადებს.

ეს გამოთქმა კი ბატონმა ამირანმა იმასთან დაკავშირებით თქვა, რომ ინფიცირებულთა შორის მისი ვაჟი ნიკოლოზიც მოხვდა. თუმცა ამ ჭეშმარიტებას ისეთი თახსირი კაცისთვის, როგორიც ნიკა გვარამიაა, ხელი არ შეუშლია, წარბშეუხრელად ეთქვა, ამირან გამყრელიძეს თავისი შვილისთვის ვერ მოუვლია და ჩვენ როგორ მოგვივლისო.

ელაპარაკე ახლა ამ უნამუსო კაცს!

მადლობა ღმერთს, სრულიად სხვაგვარად, საღად ფიქრობს მოსახლეობა. რაც მთავარია, კორონავირუსის ინფექციასთან ბრძოლა, ჯერჯერობით, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად არ ქცეულა. ვინ იცის, იქნებ არც იქცეს, გვარამიასნაირ სულგაყიდულ არაკაცებს ნუ ვიგულისხმებთ!

**სანდრო ალექსიძე**

# რა წერია მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მიერ მიღწეული შეთანხმების ტექსტში?

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ მიღწეული შეთანხმების ტექსტს ავრცელებს.

ტექსტის პირველი ნაწილი საარჩევნო საკითხებს ეხება.

**„ამ დოკუმენტის ხელმომწერები თანხმდებიან, რომ მხარს უჭერენ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებაში ცვლილებას, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის შემდეგ მოდელს განსაზღვრავს.**

**საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული წესით არჩეული 120 და მაჟორიტარული წესით არჩეული 30 დეპუტატისგან. პროპორციული არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერი შეადგენს ერთ პროცენტს.**

**ჩამკეტი მექანიზმი გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ პროპორციულ არჩევნებში ხმების 40 პროცენტზე ნაკლების მიმღებმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღოს მთლიანი საპარლამენტო მანდატების უმრავლესობა.**

**მანდატების პროპორციული განაწილების წასახალისებლად, დამატებითი ჩამკეტი მექანიზმები და შეზღუდვები დადგინდება საარჩევნო კანონმდებლობით.**

**30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრები განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად. ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, საარჩევნო ოლქების გადახრა მათი საერთო საშუალო მაჩვენებლიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ოლქების საქართველოს რეგიონების ფარგლებში ფორმირებას, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა. საარჩევნო ოლქების განსაზღვრის ზემოაღნიშნული წესებიდან შეიძლება, დაშვებულ იქნას არაუმეტეს სამი გამონაკლისისა უმცირესობათა და მაღალმთიანი მოსახლეობის წარმომადგენლობის წასახალისებლად ან უნიკალური გეოგრაფიული საჭიროებების გასათვალისწინებლად.**

**საპარლამენტო უმრავლესობა საჯაროდ წარმოადგენს საარჩევნო ოლქების განაწილების თაობაზე მის წინადადებას საკონსტიტუციო ცვლილების პარლამენტში ინიცირებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.**

**2020-დან 2024 წლამდე შუალედში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, პირველი ასეთი არჩევნები ჩატარდება 2020 წლისთვის განსაზღვრული წესების შესაბამისად. ყველა მომდევნო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით, 2024 წლისთვის საქართველოს კონსტიტუციაში ამჟამად განსაზღვრული წესის მიხედვით“,** — ნათქვამია შეთანხმების ტექსტში, რომელსაც, როგორც შეხვედრიდან გამოსულებმა განაცხადეს, ყველა მონაწილემ მოაწერა ხელი.

რაც შეეხება შეთანხმების მეორე ნაწილს, რომელიც მართლმსაჯულების საკითხებს ეხება, შეხვედრის მონაწილეების თქმით, შეთანხმების აღნიშნულ ნაწილს მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსმა“ არ მოაწერა ხელი.

**„ჩვენ, ხელისმომწერი პარტიები, ჩავერთეთ დიალოგში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, რაც საქართველოს ხალხის ნებას ასახავს. ჩვენ ვეთანხმებით საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში უმაღლესი სტანდარტების დაცვისა და მათი დახვეწისკენ სწრაფვის მნიშვნელობას. მიუხედავად განსხვავებული აზრისა, ყველანი ვთანხმდებით, რომ აუცილებელია რეაგირება ქმედებებზე, რომლებიც შესაძლოა, აღქმულ იქნას, როგორც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაცია და მომავალში მსგავსი ქმედებები თავიდან უნდა იქნას აცილებული. მივესალმებით პრეზიდენტის წინადადებას, მისი საკონსტიტუციო უფლებამოსილების ფარგლებში, თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის ხელშეწყობასთან დაკავშირებით“.**

## არჩილ თალაკვაძე: კონკრეტული პირების გათავისუფლებაზე შეთანხმება არ ყოფილა!

**ოპოზიციასა** და მთავრობას შორის პატიმრების გათავისუფლების შესახებ შეთანხმება არ შემდგარა. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ „ქართული ოცნების“ ოფისში სპეციალურ ბრიფინგზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, პატიმრების გამოშვება სასამართლოზეა დამოკიდებული.

**„ვინაიდან გუშინ და დღეს ვისმენთ ძალიან ბევრ კითხვას მაღალი პორტფელის საქმეებზე, რომლებზეც მიმდინარეობს გამოძიება, აქ პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ჩვენ პოლიტიკური პარტიები შევთანხმდით, რომ მართლმსაჯულების სისტემა არ უნდა გამოიყენოს რომელიმე მხარემ პოლიტიკური მიზნებისათვის და არავინ არ უნდა შეეცადოს მართლმსაჯულებაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენას.**

**ჩვენი პოლიტიკა აქამდეც, დღესაც და მომავალშიც იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, სადაც მართლმსაჯულება არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პროცესის ნაწილი. სხვა რაიმე კონკრეტული შეთანხმება დოკუმენტში არ არის მოცემული, შესაბამისად, არის თუ არა კონკრეტული შეთანხმება მიღებული რომელიმე ადამიანის შესახებ, რომელზეც ოპოზიცია აკეთებს განცხადებებს, შემიძლია, გითხრათ, რომ არა. ასეთი შეთანხმება პარტიებს შორის არ ყოფილა არც მიღწეული, არც ხელმოწერილი, არც დადასტურებული.**

**კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპი არის სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც ვინმეს დაკავებაზე, გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებებს იღებენ არა პოლიტიკოსები, არამედ შესაბამისი ინსტიტუციები“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

შეგახსენებთ, გუშინ აშშ-ის ელჩის რეზიდენციაში, მთავრობასა და ოპოზიციას შორის შეხვედრა შედგა. მმართველი გუნდი და ოპოზიცია 2020 წლის არჩევნებისთვის 120/30 თანაფარდობაზე, ერთპროცენტიან საარჩევნო ზღვარსა და უმრავლესობის დასაკომპლექტებელ 40-პროცენტიან ბარიერზე შეთანხმდნენ. აშშ-ის საელჩომ შეთანხმების ტექსტიც გაავრცელა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება.

## დაჩი ბერაია: ჩვენს ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ არიან!

**„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი ირაკლი ბერაია თვლის, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ. როგორც ბერაიამ „2020NEWS“-თან განაცხადა, ხელისუფლების ოპონენტების განცხადება, რომ მმართველმა გუნდმა და ოპოზიციამ პოლიტპატიმრების გამოშვებასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს, უპასუხისმგებლოა.**

არსებობენ თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები და პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანების გამოშვებასთან დაკავშირებით მიაღწია თუ არა “ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციამ შეთანხმებას, როგორც ჩანს, ამ საკითხზე მხარეებს შორის აზრი ორად იყოფა.

გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კონსულტაციების შედეგად, საარჩევნო სისტემასთან ერთად, პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და ადამიანების მიმართ პოლიტიკური დევნის შეწყვეტის საკითხიც გადაწყდა.

როგორც ბერაიამ სააგენტოსთან განაცხადა, ჩვენს ქვეყანაში თანამოქალაქეები პოლიტიკური ნიშნით 2012 წლამდე იდევნებოდნენ, ამიტომ ოპოზიციის განცხადება სიცრუეა.

**„რაზე ლაპარაკობს უპასუხისმგებლო ოპოზიცია, ვერ გიპასუხებეთ. ჩვენს ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ არიან. დღეს პოლიტიკური ნიშნით ხალხი არ იდევნება. ახლა არ ვცხოვროთ 2012 წლამდე საქართველოში, სადაც ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებდნენ და სამართალდამცავი ორგანოები ანგარიშსწორების ინსტრუმენტად იყო გამოყენებული.**

**პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, ყველაზე მეტად თბილისის ყოფილი მერის, ბატონი გიგის სახელი და გვარი ისმის. თუმცა არსებობს დანაშაულის ამსახველი ვიდეომასალები. არც ერთ ოპოზიციონერ ლიდერს უთქვამს, რომ გიგი უგულავა დამნაშავე არ არის“,** — განაცხადა ირაკლი ბერაიამ.

**ეკატერინე ზარნაძე**

## როგორ გადანაწილდება საქართველოში 30 მაჟორიტარული ოლქი?!

**როგორც** კონსტიტუციონალისტმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, საქართველოში 30 მაჟორიტარული ოლქის სწორად გადანაწილება სავსებით შესაძლებელია. მისი თქმით, ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა ერთმანეთისგან 15%-ზე მეტი ან ნაკლები რაოდენობით არ უნდა განსხვავდებოდეს.

კონსტიტუციონალისტის განცხადებით, ასეთი პრინციპით, ჩვენს ქვეყანაში ორნახევარი ოლქისგან დაახლოებით ერთი ოლქი შეიქმნება.

**„საქართველოში 30 მაჟორიტარული ოლქის გადანაწილება სავსებით შესაძლებელია. პირობები, რომლის გათვალისწინებით ოლქები უნდა დაიყოს, განსაზღვრულია ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამ გადაწვეტილების მიხედვით, არსებული 73 საარჩევნო ოლქი გაუქმდა და ამ ოლქის საზღვრები ისე განისაზღვრა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები შესრულებულიყო.**

**ეს რეკომენდაციები ამბობს, რომ ოლქები თანაზომადი უნდა იყოს. ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა განსხვავდებოდეს ერთ ოლქში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობისგან 15%-ზე მეტით.**

**კერძოდ, უნდა ავიღოთ საქართველოში არსებული მოსახლეთა რაოდენობა, ის უნდა გავყოთ 30-ზე და მიღებული რიცხვის ზომები არ უნდა გასცდეს პლუს-მინუს 15%-ის ფარგლებს“,** — განაცხადა ხმალაძემ.

### რა შემთხვევაში არ ექცევა ყურადღება 15%-იან ბარიერს?

როგორც ხმალაძემ თქვა, მთიან რეგიონებში, შესაძლოა, უფრო მცირე ოლქები შეიქმნას, რაც მოსახლეთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებლით არის განპირობებული.

**„დასაშვებია რამდენიმე გამონაკლისი, თუ ეს არის განპირობებული ობიექტური მიზეზებით, მაგლითად, ჩვენთან უფრო მცირე ზომის ოლქები შეიძლება შეიქმნას მთიან მხარეებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, თუმცა სხვებთან გაერთიანება არარაციონალურია. დაახლოებით რომ წარმოვიდგინოთ, ასეთი პრინციპით არსებული ორნახევარი ოლქისგან ერთი ოლქი უნდა გაკეთდეს“.**

**აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები 22 მარტს გაიმართება. ალბურ არძინბა, ლეონიდ ძიაშპა და ასლან ბჟანია – აფხაზეთის დე ფაქტო ცესკომ ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატები დაარეგისტრირა. რაულ ხაჯიმბამ ე.წ. პრეზიდენტის პოსტი 13 იანვარს დატოვა. ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატი ასლან ბჟანია, რომელიც ბოლო მონაცემებით მაღალი რეიტინგით სარგებლობს, უკვე მეორედ მოწამლეს. ბჟანია მოწამვლის ნიშნებით სოჭის საავადმყოფოში 2 მარტს გადაიყვანეს. რამდენიმე საათში კომიდან გამოვიდა, ადეკვატურად პასუხობს ყველა კითხვას, მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ თავის დაქნევით.**

**მომხდარის შემდეგ, ოკუპირებულ აფხაზეთში საპროტესტო აქცია გაიმართა. ბჟანიას მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ ის კიდევ ერთხელ მიზანმიმართულად მოწამლეს. როგორც ცნობილია, ოპოზიციური პარტია „ამცახარას“ თავმჯდომარე ასლან ბჟანია 2019 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხაჯიმბას მთავარ ოპონენტად განიხილებოდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ე.წ. არჩევნებში მონაწილეობა ვერ შეძლო. ოფიციალურად დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბჟანია მაშინაც პოლიტიკურმა ოპონენტებმა მოწამლეს.**

**ასლან ბჟანია საბჭოთა „კაგებეს“ ოფიცერი იყო და სსრკ-ის დაშლის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის „კაგებეში“ მუშაობდა. აფხაზეთის ომის დროს იგი გუდაუთის „კაგებეში“ ირიცხებოდა. ის ალექსანდრე ანქვაბის კადრია, მისი „პრეზიდენტობის“ დროს დე ფაქტო უშიშროების მინისტრის თანამდებობა ეკავა. 2014 წლის გადატრიალებისა და ანქვაბის რუსეთში გაქცევის შემდეგ, ბჟანიამ ოპოზიციაში გადაინაცვლა.**

**ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის კვალს ხედავს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ჯემალ გამახარია მიიჩნევს, რომ ოკუპანტი სახელმწიფო აფხაზების მიმართ შურისძიებით არის დაკავებული. for.ge-სთან საუბრისას ჯემალ გამახარია აცხადებს, რომ რუსეთი იძულებული იყო, ასლან ბჟანია ე.წ. არჩევნებზე დაეშვა, მაგრამ როგორც ჩანს, კარგად გაიაზრეს მოვლენების შესაძლო განვითარება.**

**ჯემალ გამახარია დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.**

# ჯემალ გამახარია: „დღეს აფხაზეთში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ თავის გადარჩენისთვის აუცილებელია ქართველებთან შერიგება“

**– თუ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს დავაკვირდებით, პრინციპში, ვერ ვიტყვით, რომ მდგომარეობა უმართავია და რუსეთს ხელიდან გაექცა პროცესები, მაგრამ თუ გადავხედავთ რუსეთის ჩართულობას, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს მობეზრდა აფხაზეთის დე ფაქტო მმართველობა და ამიტომ ამ ფორმით გადაწყვიტა რაულ ხაჯიმბას ჩამოშორება?**

– ეს პროცესები 2004 წლიდან მიმდინარეობს. კერძოდ, ხელისუფლების ცვლა იმ მეთოდებით, რა მეთოდებიც ვიხილეთ ახლო წარსულში, ასე მოხდა ბატონი ანქვაბის შემთხვევაში. იცით, რომ რუსეთს არ უნდოდა მისი მოსვლა ხელისუფლებაში. არძინბას წასვლის შემდეგ რუსეთი იბრძოდა, რომ ხაჯიმბა ყოფილიყო აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი. არ ვიცი, რა ასეთი განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა ხაჯიმბას.

**– იქნებ იმიტომ, რომ ხაჯიმბა გამორჩეული სეპარატისია, ვიდრე ბაღაფში და ანქვაბი, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ...**

– დიახ, აქ ბევრი მეგობარი ჰყავდათ, მაგრამ ისინი აფხაზეთის საქართველოში დაბრუნებას არ აპირებდნენ. რაც შეეხება ხაჯიმბას, ადგილობრივი კადრი იყო, რომელიც სულ უშიშროების სამსახურში მუშაობდა, ძველ „კაგებეში“, ანუ პუტინის კოლეგა იყო. ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ მაშინ „კაგებე“ ერთი სტრუქტურა იყო მთელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამიტომ იყო „სტავკა“ ამ ადამიანზე.

ის იყო ბაღაფშის ალტერნატივა რუსეთისთვის, ანქვაბის ალტერნატივაც, რომელმაც ვერ დაასრულა თავისი ვადა, ისე ჩამოაშორეს ხელისუფლებას და ეს გაკეთდა რუსეთის ხელით. რაც შეეხება ხაჯიმბას ჩამოშორებას ხელისუფლებისგან, ეს არ არის რუსეთის პოლიტიკის შედეგი. რუსეთი ბოლო წუთამდე ცდილობა ხაჯიმბას შენარჩუნებას, მაგრამ ვერ მოახერხა, ისევე, როგორც თავის დროზე, 2004 წელს ვერ მოახერხა მისი გაპრეზიდენტება.

**– რუსეთმა, რომელიც მთლიანად ფლობს მართვის ბერკეტებს აფხაზეთში, რატომ ვერ შეძლო ხაჯიმბას შენარჩუნება, ხალხის აზრი გაითვალისწინა და გაწირა ხაჯიმბა?**

– რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიას თავიდან ბოლომდე აკონტორლებს. იქ იმდენი სამხედრო ძალა ჰყავს, რომ არანაირი საფრთხე აფხაზებისაგან არ ემუქრება. მაგრამ ამასთანავე რუსეთი ცდილობს, რომ აფხაზური საზოგადოება არ დაიპირისპიროს. ამიტომ, ზოგჯერ იძულებული ხდება, ანგარიში გაუწიოს საზოგადოების ინტერესებს და მათ მისწრაფებებს. აფხაზურმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რა უნდა რუსეთს აფხაზეთში. რუსეთს სჭირდება აფხაზეთის ტერიტორია, აფხაზები კი სულაც არ სჭირდება. მაგრამ, ამ ეტაპზე, როდესაც ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს აფხაზეთის ოკუპაციას და დე იურე საქართველოს შემადგენელი ნაწილია, მას ეს აფხაზობა სჭირდება იმისათვის, რომ აფხაზეთის სახელით ეკავოს ეს ტერიტორია. რუსეთი ცდილობს, მოახდინოს ამ ტერიტორიის ანექსია ისე, როგორც ეს გააკეთა ყირიმის შემთხვევაში და მერე, უკვე, აფხაზი საერთოდ არ დასჭირდება. ეს შესანიშნავად იციან აფხაზებმა. ამიტომ ერთი მხრივ აფხაზი კმაყოფილია იმით, რომ რუსეთმა აღიარა აფხაზეთი, მაგრამ, მეორე მხრივ, აფხაზი არის შეშინებული, დაშინებული და ფიქრობს იმაზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ის რუსეთმა გადაყლაპოს.

**– შეშინებული და დაშინებული აფხაზი საფრთხეა რუსეთისთვის?**

– საშიშია იმ თვალსაზრისით, რომ ვითომ დამოუკიდებელი აფხაზეთის პროექტი შეიძლება ჩამოეშალოს. აღმოჩნდეს, რომ იქ აფხაზების ნებით კი არ იმყოფება, როგორც ახლა აჩვენებს მთელს მსოფლიოს, რომ აფხაზებმა რეფერენდუმი ჩაატარეს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ამ დამოუკიდებელმა აფხაზეთმა მიიწვია რუსეთი და კანონიერ საფუძველზე დგას იქ. ამ პროექტს არის ამოფარებული და თუ დაიპირისპირა აფხაზები, მაშინ ჩამოიხსნის ამ ნიღაბს და უკვე ღიად გახდება ოკუპანტი.

მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს რუსეთს როგორც ოკუპანტს, მაგრამ აი, როცა აფხაზი აღიარებს მას ოკუპანტად, მერე უკვე წასასვლელი იქნება იქიდან. ამიტომ, იძულებულია, ანგარიში გაუწიოს აფხაზებს. აფხაზები ყოველთვის ეჭვით უყურებენ იმ პიროვნებებს, რომელთა კანდიდატურა მოდის მოსკოვიდან. ვაითუ, ის პოლიტიკა განახორციელონ, რომლის შემდეგ ჩვენ აქ ვერ ვიქნებით და ჩვენი ადგილი აქ ვერ იქნებაო. აფხაზები ასე უყურებდნენ ხაჯიმბას ყოველთვის – 2004 წელსაც, 2012 წელსაც, როდესაც ის გადატრიალების გზით მოვიდა ხელისუფლებაში. ასე უყურებდნენ ახლაც, ბოლო დღემდე.

რუსეთიდან ჩამოსული ემისრების მიზანი იყო ხაჯიმბას გადარჩენა. რომ ვერ გადაარჩინეს, ამის მერე დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ მათ უზრუნველყვეს მშვიდობიანი გადადგომა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და ამის მიზანი ადამიანების შეცდომაში შეყვანაა. როცა მიხვდნენ, რომ ვერ შეინარჩუნებდნენ, მერე უკვე ადვილად დათმეს, იმიტომ, რომ რუსეთს სჭირდება აფხაზეთი და არა ხაჯიმბა. მისთვის მთავარია აფხაზეთის შენაჩუნება და თუ ხაჯიმბა ამას ვერ უზრუნველყოფს, მაშინ რაში სჭირდებათ ხაჯიმბა?!

**– ვინ შეიძლება განვიხილოთ ხაჯიმბას ალტერნატივად, რომელსაც არა აქვს რუსეთის მხარადჭერა, მაგრამ სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით?**

– დღეს ხაჯიმბას ალტერნატივა არის ბჟანია, რომელსაც არ ჰქონდა რუსეთისგან ისეთი მხარდაჭერა, როგორც ხაჯიმბას. არათუ არ ჰქონდა, არამედ მოწამლეს და სწორედ რუსეთში მოწამლეს, რათა მონაწილეობა არ მიეღო არჩევნებში. ჩავიდა რუსეთში, რათა დაერწმუნებინა, რომ ხაჯიმბაზე ნაკლები ერთგული არ არის, მაგრამ პასუხად საწამლავი მიიღო. ეს ყველამ იცის, მაგრამ ამბობს, რომ რუსეთი მისი მეორე სამშობლოა. სხვანაირად ხელისუფლების სათავეში ვერანაირად ვერ მოვა. ბჟანიას კანდიდატურას საზოგადოება მხარს დაუჭერდა, თუმცა ასე მარტივი ვერ იქნება მისი გაპრეზიდენტება. რა თქმა უნდა, ექნება კონკურენცია, რუსეთს არაერთი კანდიდატი ეყოლება. თუ რომელი გაიმარჯვებს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ვინც გაიმარჯვებს, იქნება მისი მსახური უკვე ის.

ბჟანია არის ოპოზიციის აშკარა ფავორიტი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის შტაბს სათავეში ალექსანდრე ანქვაბი ჩაუდგა. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ეს გუნდი გაიმარჯვებდა. ერთადერთი გამოსავალი, ეს იყო ასლან ბჟანიას საარჩევნო პროცესებიდან ჩამოშორება, როგორც ეს შარშან გაკეთდა. რუსეთი აფხაზებს უჩვენებს, აქ ბატონი მე ვარ და უნდა გავიდეს ჩემი კანდიდატიო. რუსეთის კანდიდატი ადგურ არძინბაა.

**– რუსეთი მხარს უჭერს არძინბას, მაგრამ საქართველოს რეალობისთვის, რომელი კანდიდატია მისაღები?**

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი კანდიდატის გამარჯვება, რომელიც არ დაუშვებს აფხაზეთის ანექსიას რუსეთის მიერ. არ შეასრულებს რუსეთის მოთხოვნას: რუსეთის მოქალაქეებს უნდა მიეყიდოთ უძრავი ქონება და რუსეთის მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება, რომ გახდნენ აფხაზეთის მოქალაქეები. ხაჯიმბას ასეთი რამ აქვს ნათქვამი – თუ რუსეთის დავალებას შევასრულებ, ჩემი ხალხი ჩამომკიდებს, თუ არ შევასრულებ, მაშინ რუსეთი ჩამომკიდებს. ზუსტად ისე გამოვიდა, როგორც იწინასწარმეტყველა. მომავალ დე ფაქტო პრეზიდენტსაც იგივე ბედი ელის. მთავარი წინააღმდეგობაა რუსეთის სურვილი, მოახდინოს აფხაზეთის ანექსია, რისი წინააღმდეგიც არის აფხაზი საზოგადოება.

**– დღევანდელ აფხაზეთში არის ისეთი ადამიანი, რომელიც ღიად ისაუბრებს დეოკუპაციაზე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე?**

– ჯერჯერობით ასეთი კანდიდატი არ ჩანს და ვერც გამოჩნდება, იმიტომ, რომ მეორე დღე მისთვის მძიმედ დამთავრდება. ის განუკითხაობა, დაპირისპირება, რომელიც აფხაზეთში მიმდინარეობს რუსულ პოლიტიკასა და აფხაზ საზოგადოებას შორის, ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს, ნელნელა მივალთ იქამდე, რომ აფხაზი საზოგადოება აუცილებლად მივა იმ დასკვნამდე, რომ თუ მას თავის გადარჩენა უნდა, აუცილებელია ქართველებთან შერიგება და ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში მისი დაბრუნება. გადარჩენის სხვა გზა მათ, უბარლოდ, არა აქვთ. დღეს ბევრია აფხაზეთში ისეთი ადამიანი, რომელიც ასე აზროვნებს. უამარავ აფხაზთთან მაქვს შეხვედრა, უამრავ აფხაზთან ვსაუბრობ, მაგრამ მე არასოდეს არ ვაყენებ ასე საკითხს, თვითონ სვამენ ასე საკითხს.

**– როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ სარგებელზე, ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა? სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რამდენად არის ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი გზა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 200 მილიონ მოგებას ვკარგავთ წლიურად...**

– ძალიან ძნელი სათქმელია. ჩვენთან არიან ეკონომისტები და არის ასეთი ახალგაზრდა ეკონომისტი ჭარაია, რომელსაც შესწავლილი აქვს ეს საკითხი. მქონდა მასთან საუბარი, ეს ადამიანი ამბობს, რომ იმდენად ძვირი დაჯდება ამ რკინიგზის აღდგენა, რომ იმდენად მომგებიანი ვერ იქნება, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ. გარდა ამისა, პოლიტიკურად რამდენად მომგებიანი იქნება ჩვენთვის? თუ აფხაზმა მდინარე ენგურზე საბაჟო დაგიყენა და შენ თუ გექნება ურთიერთობა იმ საბაჟოსთან, ეს უნდა აფხაზსაც. ამ შემთხვევაში, ეკონომიკურ მოგებაზე ნაკლებად იფიქრებს. სამწუხაროდ, ეს უფრო პოლიტიკური საკითხი გახდა, ვიდრე ეკონომიკური.

**ესაუბრა**
**თამთა ძარჩავა**

# ქვეყანას ჭირად მოდებული

**სამთავრობო** და საბანკო თაღლითების მიერ უპატრონოდ მიტოვებული ანაკლია და ზღვის ფსკერიდან ამოღებული, 100 ჰა ტერიტორიაზე 8 მეტრის სიმაღლეზე დაზვინული, საუკუნეების მანძილზე ზღვის ფსკერზე დაკონსერვებული, შეუსწავლელი მასა, ადვილი შესაძლებელია, კორონავირუსზე გაცილებით საშიში გახდეს, თუ მას სასწრაფოდ არ მიეხედა!

**კორონავირუსთან დაკავშირებულმა საშიშროებამ ქვეყნის მოსახლეობა რომ მოიცვა, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ტევეპირველის“ და „მთავარის“ მიკროფონიანი კოიოტები რომ ყველანაირად ცდილობენ არა შეშინებული მოსახლეობის თანადგომას, არამედ, რაც შეიძლება მეტად დაზაფრონ ისინი, არც ეს ყოფილა მოულოდნელი!**

**ბუნებრივია, მათ მყისვე აჰყვა პოლიტჭილყვავი და მათი ე.წ. ლიდერები:**

**შალიკოები, ბოკერიები, უგულავები და კიდევ ქვეყანას ჭირად მოდებული, „ტურა, მელა, კატა, მგლები“, რომლებიც გაცილებით საშიშია ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობისთვის, ვიდრე კორონავირუსი, რომელსაც ისევ მისი შემქმნელები გააუვნებელყოფენ, როცა დაგეგმილ თანხას (ვირუსის შექმნა + მოგება) აიღებენ, რაც გადახდადია და მალე მოგვარდება!**

მაგრამ, **ვინ გააუვნებელყოფს საქართველოში, „ოპოზიციაში“ და „პოზიციაში“ შემოთესლილ „პოლიტკორონავირუსს“?**

ამათაც ხომ ჰყავთ შემქმნელები, მაგრამ **ისინი ხომ, იმ ქვეყნის გადარჩენაზე არ ფიქრობენ, სადაც ისინი ჩათესლეს?**

ამაზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ, ქვეყნის რიგითმა მოსახლეობამ, თორემ გარედან ჩვენი მშველელი არასოდეს არ გამოჩნდება!

ახლა, რაც ყველაზე მთავარი და საშიშია:

**„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფმა“** დიდი ხანია, განგაშის ზარი ავტეხეთ, ანაკლიაში, ზღვის ფსკერიდან უპროექტოდ, უმიზნოდ ამოღებული და უპატრონოდ მიტოვებული 5 მილიონი ქვიშანარევი შეუსწავლელი მასის გარშემო 80-გვერდიანი მეცნიერული ნაშრომიც დავდეთ, რომელიც საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ოპოზიციას, მმართველი პარტიის თავკაცებს გაეგზავნა, მაგრამ მას შეხმიანება არ მოჰყოლია!

ჩვენი ჯგუფი უწყვეტ მონიტორინგს აწარმოებს ანაკლიაში 100 ჰექტარზე უპატრონოდ დაყრილ ქვიშის ბოლცომზე, რაც გაცილებით საშიში შეიძლება გახდეს, ვიდრე ჩინური კორონავირუსი...

მაინც, რა ეშველება ასწლეულების განმავლობაში ზღვის ფსკერზე დაგროვილი და დაკონსერვებული (არავინ უწყის, როგორი და რამდენი ავადმყოფობების შემცველი) ხაზარაძის და მისი ავისმქმნელების მიერ **ანაკლიის ულამაზეს სანაპიროზე დაბოლცომებულ ზეგან — საწამლავს?**

## თუ ყურადღებით არ ვიქნებით, საქართველოს ჩინურ კორონავირუსზე უარესი საშიშროება ემუქრება!

ვინ იცის, საუკუნეების წინ მიძინებული როგორი სახის ინფექცია იფეთქებს კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის მიერ ანაკლიაში უპატრონოდ მიტოვებული „ეპიდემიის წყაროდან“?

რატომ არ მოდიან **„ტევეპირველის“** და **„მთავარის“ მიკროფონიანი** კოიოტები ანაკლიაში?

ჩვენ ზუსტი პასუხი გვაქვს, თუ რატომ არ არის მათთვის ანაკლიის თემა საყურადღებო, მაგრამ ამჯერად კიდევ ერთხელ ვიკავებთ თავს, ისედაც დაძაბული მდგომარეობა, კიდევ უფრო არ გამწვავდეს, რომ ქუჩაში გავარდნილ **პოლიტჭილყვავს** და მათ ე.წ. **ლიდერებს: შალიკოებს, ბოკერიებს, უგულავებს,** ქვეყანას ჭირად მოდებულ, „ტურა, მელა, კატა, მგლებს“ ახალი პროვოკაციის სარბიელი არ გავუჩინოთ და დროის და რეალობის შეუსაბამონი, იმ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი არ გახდნენ, ვინაც წლების მანძილზე ითმინა ისინი!

* * *

**ვფიქრობდი, აქ დამესვა წერტილი ამჯერად, მაგრამ ვინ მოგცემს ამის უფლებას?!**

**„ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტის“ მშენებლობაზე ახალი ტენდერის გამოცხადება ქვეყანაში მოქმედი ტენდერის კანონის დარღვევას უფრო ჰგავს, რადგან, სანამ ამ უკიდურეს გადწყვეტილებამდე მივიდოდეს, მთავრობამ, ჯერ ტენდერის ფინიშზე გასული მეორე კანდიდატის შემოთავაზებები უნდა გადასინჯოს და, თუ იგი პირველი ტენდერის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ გადადგას ახალი ტენდერის მომზადებისა და გამოცხადების ნაბიჯი, რაც რამდენიმე მილიონი ლარი დაჯდება!**

**კარგი ბატონო, არ გაითვალისწინა, ან გამორჩა, უამრავი სხვა საკითხით დაკავებულ მთავრობას ზემოხსენებული „სატენდერო რეგულაცია“, ჩვენს დროში და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს მთავრობის წარმომადგენელთა (ინფრასტრუქტურის სამინისტროს) ანაკლიაში ჩასვლა და მათი განცხადება, რომ:**

**„რკინიგზის და ავტობანის მისაერთებელი ადგილის შესარჩევად არიან ჩამოსულები ანაკლიაში?“**

ნუთუ, მათთვის, ისე, როგორც 2016 წლის 5 თებერვალს წინასწარ იყო ცნობილი, თუ ვის უნდა გაემარჯვა ტენდერში, ახლაც იმავეს აპირებენ?

თუ ეს ასე არ არის, რა იცის ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ვინ იქნება ახალი ტენდერის გამარჯვებული და როგორი სახის პროექტს წარმოადგენს იგი?

ის, რომ ხაზარაძის ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ შერჩეული, პორტის ასაშენებელი ადგილი არანაირად არ შეესაბამება „სავაჭრო-სამრეწველო პორტისთვის“ საჭიროს, კარგა ხანია, გაცხადდა.

სხვა საკითხია, ისინი საერთოდ არ აპირებდნენ ასეთი სახის პორტის აშენებას და იგი ვიღაცისთვის (ამის შესახებ ისინი უნდა გამოკითხოს შესაბამისმა ორგანომ) სულ სხვა დანიშნულებისთვის რომ შენდებოდა, მკითხველისთვის ცნობილია, მაგრამ, როგორც ჩანს, სამთავრობო ეშელონებში „ამას ჯერაც ვერ მიმხვდარან“!

**როგორც ზემოთ ვახსენე, ჩვენ, „ანაკლიის ეკომონიტორინგის ჯგუფმა“ ამის შესახებ ექვს სამინისტროს, პრემიერ-მინისტრს, მმართველი პარტიის და პარლამენტის თავმჯდომარეებს წერილობით მოვახსენეთ, სამეცნიერო ნაშრომი, 80-გვერდიანი „საექსპერტო დასკვნა „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პრობლემები“ წიგნის სახითაც მივართვით, თუ რატომ ვერ აშენდება „ანაკლია პორტი“, სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ იმის დასტური მივიღეთ ფოსტით, რომ გზავნილი მიიღეს, მაგრამ, ეტყობა, დღემდე არ წაუკითხავთ, თორემ მსგავს ლაფსუსს არ დაუშვებდნენ!**

თუ ისინი, ჩქარობსნული რკინიგზის და ავტობანის მიბმას, ხაზარაძის ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ხელოვნურ ბოლცომთან აპირებენ, პირდაპირ უნდა ითქვას:

ეს დიდი უპასუხისმგებლობაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ მიერ ანაკლიაში დაწყებული საქმის საეჭვო დანიშნულებას!

საყურადღებოა, ახალი ტენდერის შემთხვევაშიც სხვის მიწაზე აპირებენ პორტის აშენებას?

**საქართველოს მთავრობის უმაღლესი მმართველებიდან დაწყებული, პროკურატურის ყველაზე დაბალი ჩინოსნის ჩათვლით ყველასთვის ცნობილია, რომ 2100 ჰექტარი მიწა, საგანგებოდ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად თეიმურაზ ქარჩავას 2010 წელს აქვს შეძენილი არა 1 ლარად, როგორც მაშინ იყო მიღებული და დადგენილი მაშინდელ მთავრობასთან ჯვარდაწერილთათვის, არამედ 3,5 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი და იგი საკაშვილის მთავრობამ კანონის უხეში დარღვევით ჩამოართვა მას და 2011 წელს თავის კომპანია „ლაზიკას“ გადასცა საჩუქრად...**

ეს ის საკითხია, რაც „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის“ ახალი ტენდერის გამოცხადებამდე უნდა გადაწყდეს, ზემოხსენებული 2100 ჰა მიწის ფართობი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს როგორც კანონის უზენაესობა ქვეყანაში, ასევე ახალი ტენდერის, ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სასიკეთო დანიშნულება!

**დავით ქობალია**

# რას უნდა ველოდოთ საქართველოში?..

## მსოფლიო ეკონომიკა ვარდნას ვერ გადაურჩება

**მსოფლიო** ეკონომიკა დაცემის გზას დაადგა და ამის მთავარი მიზეზი ჩინეთში განვითარებული მოვლენებია. **კორონავირუსის ეპიდემიამ უკვე შეუქმნა უდიდესი პრობლემა საერთაშორისო ბაზრებს თუ ბირჟებს, რაც თანდათან ქვეყნების განვითარებაზე მოახდენს გავლენას. გამონაკლისი ასეთ ვითარებაში საქართველოც ვერ იქნება.**

ჩინეთის ეკონომიკა ბოლო ათწლეულების მანძილზე პირველად დაღმასვლის საფრთხის წინაშეა. ამის მიზეზი კორონავირუსის ეპიდემიაა. ვირუსმა დამანგრეველი გავლენა იქონია ჩინეთზე, რის გამოც, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკა პირველად 1970-იანი წლების შემდეგ შემცირდეს.

**თებერვალში** ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა მკვეთრად დაეცა, ვინაიდან კომპანიები შეფერხებით მუშაობდნენ, ბევრი ქარხანა, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, რამდენიმე კვირით დაიხურა. საქმიანი აქტივობის ინდექსი სექტორში 26.5-მდე შემცირდა თებერვალში, მაშინ, როდესაც წინა თვეს 51.8 იყო. თებერვლის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია 2005 წლის შემდეგ.

**„ვირუსის ეპიდემიამ მთავრობა რთულ ვითარებაში ჩააგდო. ერთი მხრივ, დახურვის პოლიტიკა ყველაზე ეფექტური გზაა ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად. მეორე მხრივ კი, ჯანდაცვის ზომები ხელს უშლის ეკონომიკურ აქტივობას“,** — განაცხადა ეკონომისტმა რეიმონდ იუნგმა.

მსოფლიო ტენდენციები გვერდს არც საქართველოს აუვლის. ისევე როგორც გლობალურ ბაზრებზე, ჩვენთანაც მოსალოდნელია ვარდნა და ეკონომიკური პრობლემები. ეკონომიკის მინისტრი **ნათია თურნავა** ვირუსის ეკონომიკაზე ზემოქმედების მიმართულებით ორ ფაქტორს: კორონავირუსის გავრცელების დინამიკასა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებს გამოყოფს.

**„ვირუსის საქართველოს ეკონომიკაზე, ისევე როგორც გლობალურ ეკონომიკაზე შესაძლო ზემოქმედება არ არის ზუსტი მათემატიკა. ძალიან ბევრი რამ, მათ შორის ჩვენს შემთხვევაშიც, დამოკიდებულია ვირუსის გავრცელების დინამიკასა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებზე, რაც არ არის ჩვენი კონტროლის ქვეშ არსებული საკითხები.**

**შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი ორი თვის განმავლობაში, სულ მცირე, იმ რამდენიმე ქვეყნის მიმართულებით ტურისტული მიმოსვლის შეზღუდვის და შეწყვეტის გამო, პრაქტიკულად 30 მილიონ ლარზე მეტი ზარალი დაუდგა ტურისტულ ინდუსტრიას, მაგრამ ეს არ არის და ვერ იქნება ზუსტი ციფრი.**

**ცალსახაა, რომ მსოფლიო ეკონომიკა იზარალებს კორონავირუსის გამო. ისევ და ისევ ყველაფერი არის დამოკიდებული იმაზე, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს გამოწვევა“,** — განაცხადა **თურნავამ.**

ეკონომისტები ნეგატიური გლობალური ტენდენციების ფონზე საქართველოში კარგს არაფერს ელიან. „ფინექს 1970“-ის ფინანსისტი **ნიკა შენგელია** ამბობს, რომ არა მხოლოდ ტურიზმზე, არამედ ყველა სექტორზე ნეგატიურად აისახება კორონავირუსის საფრთხე. არ უნდა ველოდოთ არანაირ ზრდას, ასეთი რამ 2020 წელს ნამდვილად არ მოხდება.

*„ყოველთვის როცა ნებისმიერი ასეთი საფრთხე იჩენს თავს და ეკონომიკა რეცესიაში შედის ბევრ ქვეყანაში, მცირდება ინვესტიციების მოცულობა. მიუხედავად იმისა, რომ ლარის კურსი გამყარებულია, ფასის შემცირება არ მომხდარა და არც უნდა ველოდოთ უახლოეს თვეებში. პირიქით, გაძვირებაც კი შეინიშნება გარკვეულ პროდუქტებზე. ეკონომიკური ზრდის კუთხით გავლენა იქნება მეორე კვარტალში, სავარაუდოდ, შემცირების მიმართულებით“,* **— განაცხადა ნიკა შენგელიამ.**

**გეჟა დანელია**

**მან მოიგონა შარვალი ქალებისთვის – იმ დროის უმთავრესი იდეა. ეს იყო იმისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რასაც დღეს casual-ს ვეძახით და შეცვალა მოდა საბოლოოდ და შეუცვლელად.**

**კალვინ კლიანი**

# „ქალი სუყოველ მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

**– ასე ამბობდა კოკო შანელი**

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

## თავის თავზე

ვესტმინსტერელს იმიტომ მოვწონვარ, რაკი ფრანგი ვარ. ინგლისელი ქალები გულცივი და ძუნწნი არიან, კაცები იმათ ხელში თავს მოწყენილად გრძნობენ.

* * *

ვერ ვიტყვი, რომ უზომოდ მიყვარან ცხენები. არცროდის ცხენებით ისე გატაცებული არა ვყოფილვარ, როგორც რომ ზოგიერთი „მეცხენეა“, თავისი ხელით რომ აურვებს იმათ ანდა როგორც ბევრი ინგლისელი ქალი, ერთ-ორ წუთს თავისუფლებას რომ გამოჰკრავს ხელს, ეგრევე საჯინიბოსკენ გარბის.

* * *

მე ჩემი მშობლების ბედნიერი დროის ბავშვი ვიყავი.

* * *

...სინამდვილეში ნამდვილი ძუ ვეფხვი ვიყავი... აგრე მოვეწიე ცხოვრებას, ანუ იმ სახსარს ვსწავლობდი, რაც თავს დამაცვევინებდა.

* * *

ეს სამოსელი ათი წელიწადი მაცვია, ძალიან მომწონს ძველი ქსოვილები, ადვილად არ ცვდება.

* * *

ეტიენ და ბოიეზე თქმული:

ეს ბატონები მთელი წელიწადი დავაში იყვნენ, ჩხუბობდნენ, მე კი ამ დროს ვფიქრობდი: რაღაც საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი, სხვაგვარად რა იცი, რა ხდება?

* * *

მადლიერებას არ ვითხოვ, მაგრამ უმადურობაც საძაგელი რამეა.

* * *

პერლები ბევრია, შანელი კი ერთი!

* * *

რა ვიცი, რაღა არ მიკეთებია ჩემს ცხოვრებაში, ის კი არა, გაზეთიც გამომიშვია!

* * *

ნამდვილად ახალი საუკუნის ასაკი და მგზნებარება მქონდა, და სწორედ მე მომმართა, რათა ის სამოსლის წიაღ გამომეხატა.

* * *

ყველაფერს დიდი კმაყოფილებით ვიძენ, ყოველთვის უფრო საშინელი ის არის, რომ ნაყიდისა მერმე ფლობაც მიწევს.

* * *

ჯია მეოთხედი საუკუნე დასტრიალებდა ვაშლს, და ვერა და ვერ შეაღწია შიგ. ტრამალმა ვერ შეძლო ფრანგული პროვინციის დამარცხება.

* * *

ის აღარა ვარ, რაც ადრე ვიყავი, და იმად დავრჩები, რაც გავხდი.

* * *

სიზარმაცე ძნელი საქმეა.

* * *

საუზმობა ბევრად მირჩევნია ამბოკართან ერთად, უკეთუ თან მართობს, ვიდრე სევდის მომგვრელ მდიდრებთან ერთად.

* * *

ერთი რამ მტკიცედ ვიცოდი: დამოუკიდებლობა უნდა მომეპოვებინა, დამოუკიდებლობა კი ფულია.

* * *

რა უნდა მექნა, თუ მუშაობას შევწყვეტდი? ნაღველი შემჭამდა.

* * *

იელს ვერ ვიტან, ოღონდ თუ მოვჭრი და მაშრაფაში ჩავდებ, ცქერა კიდევ შეიძლება.

* * *

ბედ-იღბლის ხელში იარაღი ვხდები, ნეტავ, როდის დადგება დალაგების დრო?..

* * *

ომიდან მოკიდებული ბევრად მეტს ვფიქრობ, ვიდრე ადრე ვფიქრობდი. ადრე დრო არა მყოფნიდა, სულ ვჩქარობდი. ძილიც მაკლდა, ახლა უძილობას აღარ ვემდური. ყველაფრით ეგრევე შეპყრობილი ვხდებოდი, რასაც კი ხელს მოვკიდებდი. არცროდის ზუსტად შეგნებული არა მქონდა, რის დავიწყებაც მინდოდა. იმ დროს, როცა რისამე დავიწყება მინდოდა, რაც რამ აკვიატებული მქონდა, ახალ საქმიანობაში გადავეშვებოდი ხოლმე.

* * *

ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: იმის დავიწყებას ხომ არა ცდილობ, კოკო შანელ, რომ ცხოვრობ? არ ვიცი... ვითომ მოუსვენარი ადამიანი ვარ? დიდი სიამოვნებით მოვკლავდი დროს ჩემს რბილ დივანზე კოტრიალში, ყოველთვის უზომოდ ზარმაცი ვიყავი. ოღონდ, ჩემში იმის დავიწყების დაუძლეველი მოთხოვნილება ზის, რომ ცოცხალი ვარ, იმის მოთხოვნილება, რომ რაღაც საქმის კეთებისთვის ვიღელვო, რათა ვიგულმავიწყო, რომ ცოცხალი ვარ. განა ეს საამო არ არის... სიცოცხლე? დავიწყება შეუძლებელია, ეს ყოველივე ხომ ქვეცნობიერში მრჩება, სადაც ყველაფერი ხდება.

* * *

არა მჯერა, რომ ადამიანი საბოლოოდ კვდება, უბრალოდ, იმისი სული სხვა სხეულში სახლდება, იმ სულისთვის ახალი განსაცდელი იწყება. ინდუსთა გაგებით სიკვდილი მხოლოდ ფერისცვალებაა.

* * *

როცა კი შეყვარებული ვხდებოდი, მთლიანად ვეძლეოდი ჩემს გრძნობას. თუმცა, როცა არჩევა მიხდებოდა კაცებსა და ჩემს ძვირფას კაბებს შორის, ყოველთვის კაბებს ვარჩევდი. ვინაიდან ვნებებზე მუდამ ძლიერი ვიყავი, სამუშაო ჩემთვის ყოველთვის ნარკოტიკი იყო. ძალიან ვეჭვობ, რომ ჩემი კაცების დაუხმარებლად ამდენად ცნობილი შანელი გავხდებოდი...

* * *

არ ვიცი, რა მომდის: თავს სრულ იდიოტად ვგრძნობ, გათხოვება მინდა.

* * *

„რას იცვამთ, რაში გიყვართ ძილი?“ – ასე გამომწვევად ჰკითხა კოკო შანელს მერილინ მონრომ, რის პასუხადაც კოკო შანელმა მიუგო: „მხოლოდ ორი წვეთი „შანელი №5“ მასხია“.

* * *

ადამიანებს ყოველთვის იმის მიხედვით ვაფასებ, როგორ ხარჯავენ ფულს. ფული თვითმიზანი არ არის, მხოლოდ იმის მატერიალური დადასტურებაა, რომ ადამიანი არჩევანში არ შეცდა.

* * *

ერთხელ სამკაულთა ესკიზების მოხელესაქმება ვცადე! სემმა დაინახა და თქვა: „ახლა ჩვენში ნაყალბევის მიბაძვა დაიწყეს“.

* * *

ჩემი მიბაძვა სავსებით უაზროა, რადგან სულერთია, მაინც ვერ შეძლებენ ჩემი ფასონებისა და იდეების პირის გადაღებას. ოღონდ ჩემი სამოსელი თუ ხალხმა შეიყვარა და ქუჩამაც მიიღო, მაშასადამე, ნამდვილად შევქმენი ჩემი სტილი, შანელის სტილი.

* * *

მუდამ ვიცოდი, არცროდის ვისიმე არ ვიქნებოდი... არც კიდევ შენი, მაგრამ ხან ამას ვივიწყებდი.

* * *

განსაკუთრებულად მიყვარს ძველი სამოსელი, გინდ ტალავარი თქვით, არც როდის ახალკაბიანი არსად არ გავდივარ, რადგან მუდამ შიში მაქვს, ემანდ, რამე არ გაირღვეს-მეთქი.

* * *

შანსია სწორედ ჩემი სული.

* * *

ყოველთვის ახლის მოთავე ვერ იქნები, მე კლასიკის შექმნა მინდა.

* * *

შუადამის მერე საძილედ დაწოლა იმას ნიშნავს, რომ თავს არ უფრთხილდები, თორმეტი საათის მერმე არცრა აღარ მაგულისყურებს.

* * *

თუ დღეს შარვალი-გალიფეა მოდაში, ის კი სულაც არ გიხდებათ, გულს ნუ გაიტეხთ! ადექით და ის აირჩიეთ, რაც გიხდებათ, მოიძიეთ თქვენი „კარგად გამოჭრილი სამოსელი.

* * *

რამდენიც გნებავთ, იმდენი მკიცხეთ, მაგრამ, რა ვქნა, მართლაც ბალსანის ფულით ვცხოვრობდი... იმასთან მეძინა, იმის ცხენებით დავსეირნობდი, იმის ხარჯზე ვიცვამდი, ოღონდ ამასთანავე, ის არ მიყვარდა... იყო თუ არა ეს ჩემი დაცემა? გააჩნია, რა თვალსაზრისით შევხედავთ ამას...

* * *

ყველაფერი მიყვარს, რაც მაღლით დაგვყურებს თავს: ცა, მთვარე. მჯერა, რომ ვარსკვლავები გავლენას ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე. ნოსტრადამუსისა არ იყოს, მეც ლომის ზოდიაქო ვარ. რის თვალით ხილვა და ხელით შეხება არ შეიძლება, ის უფრო მეთანიერება, ვიდრე ყოველდღიური ლობიოიანი ცხვრის ხორცი.

* * *

ოჯახი არ მიყვარს. კი, ოჯახში ვჩნდებით, მაგრამ ეს სულაც იმას არ ნიშნავს, რომ სამუდამოდ იმაზე უნდა ვიყვნეთ მიჯაჭვულნი. არცრა ვიცი ოჯახზე უფრო საშინელი რამ.

* * *

იმის სურვილი, რომ ვისამე, ვყვარებოდი, ჩემში თვით სიყვარულზე ბევრად ძლიერი იყო. ასე ვიყავი მამაჩემს შეკვეთილი, იმიტომ, რომ ჩემს დასთან შედარებით მე ბევრად უფრო ვუყვარდი. ორივენი ერთნაირად რომ ვყვარებოდით, ამას ნამდვილად ვერ ავიტანდი.

* * *

ყოველთვის, რაც უფრო კეთილგონიერი ვხდები, ეს ჩემთვის მორიგი უბედურება ხდება.

* * *

ამერიკა ყოველთვის ჩემს აღტაცებას იწვევდა... თვითონ ამერიკელთათვის კი საფრანგეთის განსახიერება ვიყავი.

* * *

ზუსტად ვიცი, რომ არცრას ტანთ არ ჩავიცვამდი, რასაც თავად არ მოვახელკეთილებდი. გამიზნულად არ შევკერავ და არცრას ისეთს არ შევქმნი, რასაც თავადვე არ ჩავიცვამდი ქუჩაში გასასვლელად.

* * *

ჩემი ჩაცმულობა ყოველთვის სხვათა საგულისყურო იყო და ზოგიერთის ღიმილსაც კი იწვევდა. ოღონდ ვერცვინ ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ ამაში იყო ჩემი დიდი წარმატების მუღამი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ისე არ გამოვიყურებოდი, როგორც დანარჩენი ქალები.

* * *

არ მომწონს, როცა ადამიანები შანელზე ლაპარაკობენ როგორც მოდაზე, რადგან შანელი უწინარესად ნატიფი სტილია. მოდა ხომ მოდიდან გამოდის, სტილი სამუდამოდ რჩება.

* * *

მე ისეთ ხელობას მივდევ, რომელსაც ჩემსავით ქვეყნად კაციშვილი არა ფლობს.

* * *

ერთხელ მდივანმა ქალმა უთხრა კოკო შანელს:

– ქალბატონო, თქვენი დისშვილი კითხულობს, დეიდაჩემი თუ მიმიღებს, ძალიან ბედნიერი ვიქნებიო!..

– არ უნდა, ეგ არა ქნას. უთხარით, როგორც ყოველთვის, სალაროსთან მივიდეს.

**(გაგრძელება მორიგ ნომერში)**

მერილინ მონროსთან ერთად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-42**

# სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნვა ბავშვობიდანვეა აუცილებელი!

**ენდოკრინული** დარღვევები — თანამედროვე მედიცინისთვის ერთ-ერთი პირველი რიგის უმნიშვნელოვანესი პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მკურნალობისა და რაც მთავარია, პრევენციის საკითხებს, მკვლევარები უდიდესი გულისყურით უდგებიან. მხოლოდ ზოგიერთი სნეულების უბრალო ჩამონათვალიც კი, მკითხველს პრობლემათა სასწრაფოდ დაძლევის აუცილებლობაზე თვალნათლივ მიანიშნებს. მათ შორისაა, კერძოდ, დიაბეტი, წყვილთა აბსოლუტური უმრავლესობის უშვილობა, ფარისებრ ჯირკვალში კვანძების წარმოშობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ენდოკრინოლოგიური კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ამ მხრივ ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხები.

ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში ბოლოს დროს მიღწეულ წარმატებათა შორის, უპირველესად, **ჯუჯობის სინდრომის** პრობლემის გადაწყვეტაა. უწინ ასეთი ბავშვები ტანს ვერ იყრიდნენ, ბევრნი ზედმეტად დაბლები რჩებოდნენ. დღესდღეობით კი მათთვის სიმაღლის ჰორმონის შემცველი პრეპარატებია შექმნილი, რის წყალობითაც ასეთ პრობლემურ პაციენტთა საშუალო სიმაღლემ საგრძნობლად მოიმატა.

გენურ-ინჟინრული ინსულინებისა და ტექნოლოგიების წყალობით ბავშვებში **შაქრიანი დიაბეტის** მკურნალობა სრულიად ფანტასტიკურ დონეზე გავიდა. უახლეს სამკურნალო საშუალებებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **ინსულინის პომპები (საქაჩები), გლუკოზის უნიკალური ტესტერი, რომლის მონაცემთა გადამცემს ბავშვის კანქვეშ ათავსებენ და საგანგებო ხელსაწყო — რიდერი — სისხლში გლუკოზის შემცველობის დონის შესახებ მათ მაშინაც კითხულობს და დღეღამურ დინამიკას იმახსოვრებს.**

ამ ტექნოლოგიების გამოყენება მოყოლებული 4 წლის ასაკიდანაა შესაძლებელი, ამდენად, დიაბეტიან ბავშვსაც თავის ჯანმრთელი თანატოლივით ცხოვრების წესი ექნება. არადა, უწინ „საბავშვო“ დიაბეტი, ფაქტობრივად, ინვალიდიზაციის ტოლფასი იყო, ასეთი ბავშვები საერთო მამისგან გარიყულებივით იყვნენ და, რაც ყველაზე სავალალო იყო, ცოტა მათგანი თუ აღწევდა 30 წლის ასაკს. ახლა ისინი ჩვეულებრივი ჯანმრთელი ადამიანების ცხოვრებით ცხოვრობენ, ოჯახებსაც ქმნიან და ჯანმრთელ ბავშვებსაც აჩენენ.

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ გარკვეული ნიშნები, რომელთა არსებობა ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებით პრობლემების არსებობას მიგანიშნებთ, რის შემდეგ აუცილებლად უნდა მიაკითხოთ ენდოკრინოლოგს: **კუნთებისა და სახსრების ტკივილები; კისერში დისკომფორტის შეგრძნება, თითქოს საყელო გიჭერთ; თვალების გადმოკარკვლა; კუჭ-ნაწლავთა პრობლემები; მენსტრუალური ციკლის დარღვევა; წონის არამოტივირებული შეცვლა; ქალებში ნიკაპზე ბალნის გაჩენა; ენის გადიდება ისე, რომ მას კბილების ანაბეჭდები ემჩნეოდეს; თმების გაცვენა, კანის ფერის შეცვლა; დაღლილობის, დეპრესიის, განგაშის გამუდმებული შეგრძნება; პულსის რეგულარული აჩქარება; ქოლესტერინის შემცველობის მომატება.**

გახსოვდეთ: დისპანსერიზაციის ჩატარება რეგულარულადაა საჭირო!

ზოგადად თუ ვიტყვით, მომავალში სავსებით რეალურია ადამიანის ბუნებრივი არსებობის „კაცური“ ხანის 120-130 წლამდე გახანგრძლივება. ამის საწინდარი, უწინარესად, ის გარემოებაა, რომ თითოეული ადამიანი და ერთიანად საზოგადოება ყოველთვის მიზანდასახული იქნება სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმალურად გაზრდით და მისი ხარისხის ამაღლებით.

ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რაშიც ყველა თქვენგანი გაიზიარებთ, რომ ადამიანებს სურთ ძალიან დიდხანს ცხოვრება დაუბერებლად და ავადმყოფობების გარეშე.

**მოამზადა**
**დალი ხუნდაძემ**

# თურქული ჯარის მთავარი მიზანი

**თურქეთის** პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა სირიაში თურქული ჯარის მთავარი მიზანი დაასახელა. მისი თქმით, ეს აუცილებელია სირიის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის უზრუნველსაყოფად.

„ჩვენი ერთადერთი მიზანია — შევქმნათ ისეთი პირობები, რომ თურქეთში მყოფი 3,6 მილიონი სირიელი მიგრანტი და იდლიბში მყოფი 1,5 მილიონი ადამიანი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ“, — განაცხადა ერდოღანმა. მისივე განცხადებით, ანკარამ სირიელი მიგრანტების მიღებაზე 40 მილიარდი დოლარი დახარჯა, ევროკავშირმა კი თურქეთს მხოლოდ 3 მილიარდი ევრო გამოუყო.

თურქეთმა სირიელ მიგრანტებს ევროპასთან საზღვარი 29 თებერვალს გაუხსნა. ამის მიზეზი სირიაში, იდლიბში სიტუაციის გამწვავება გახდა. საბერძნეთის საზღვრის გადაკვეთა 34 778-მა ადამიანმა სცადა, მესაზღვრეებმა 244 მათგანი დააკავეს და მიგრანტების დეპორტაციას გეგმავენ. 2016 წლის შეთანხმებით, დევნილების მიღებისა და განთავსების მიზნით ევროკავშირმა თურქეთს ფინანსური დახმარება გამოუყო.

# ნავთობი 30 პროცენტით გაიაფდა

**მას შემდეგ, რაც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) წევრი ქვეყნები ნავთობის სხვა მწარმოებლებთან მოპოვების შემცირებაზე ვერ შეთანხმდნენ, აზიურ ბაზრებზე ნავთობის ფასი 31%-ით შემცირდა. ნავთობის უმსხვილესმა მწარმოებელმა — საუდის არაბეთმა ოფიციალური ფასების შემცირება დააანონსა, რის შემდეგაც Brent-ის მარკის ნავთობზე ფასი 1 ბარელზე 31 დოლარამდე დაეცა.**

**ეს ნავთობის ფასის ყველაზე მკვეთრი ვარდნაა 1991 წლის შემდეგ, როდესაც სპარსეთის ყურეში ომი დაიწყო. ამასთან ერთად, Goldman Sachs-ში ვარაუდობენ, რომ ნავთობის ფასი შესაძლოა, 20 დოლარამდე დაეცეს.**

# პრემიერ-მინისტრის მოკვლა სცადეს

**სუდანის** დედაქალაქ ხარტუმში უცნობმა პირებმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის აბდულა ჰამდუკის მოკვლა სცადეს. მთავრობის მეთაურის ქალაქში გადაადგილებისას გზის პირას მდგარ ავტომობილში ჩადებული თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. შემთხვევის შედეგად აბდულა ჰამდუკის არანაირი დაზიანება არ მიუღია.

**აბდულა ჰამდუკმა სუდანის მთავრობის მეთაურის პოსტი გასული წლის აგვისტოში დაიკავა, მას შემდეგ რაც 11 აპრილს სუდანის არმიამ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოაწყო და 30-წლიანი მმართველობის შემდეგ ქვეყნის იმჟამინდელი პრეზიდენტი ომარ ალ-ბაშირი დააკავა. მას შემდეგ სუდანს სამხედრო საბჭო მართავდა.**

# სარკამარტო საჩუქარი თურქულად და მექსიკურად

**თურქმა** სამართალდამცველებმა ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სტამბოლში, ტაქსიმის მოედანზე შეკრებილი ქალები წყლის ჭავლის საშუალებით დაარბიეს.

**პოლიციამ დემონსტრაციის მონაწილეებს საშუალება არ მისცა, ისტიკლალის ქუჩაზე გადაადგილებულიყვნენ. სტამბოლის გუბერნატორის განცხადებით, ხელისუფლება ქალაქის მასშტაბით, ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნის ნებართვას არ გასცემს, რის გამოც, დემონსტრაცია არასანქცირებულად მიიჩნევა.**

* * *

**მექსიკის** დედაქალაქ მეხიკოში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მსვლელობაზე პოლიციელები და მომიტინგეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მსვლელობაში დაახლოებით 80 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მკვეთრი ზრდა გააპროტესტეს. შსს-ს ინფორმაციით, მსვლელობა ინციდენტების გარეშე მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ მომიტინგეების ნაწილმა სამართალდამცველებს ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები ესროლა, პოლიციამ კი მათ წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა.

**დაპირისპირების შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაშავდა, 13 მათგანს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. პოლიციამ მომხდართან დაკავშირებით 7 ადამიანი დააკავა.**

# კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 15-მდე გაიზარდა

**ორი** ახალი შემთხვევა ე.წ. იტალიის კლასტერს უკავშირდება. ინფორმაცია ამის შესახებ „იმედს“ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების უფროსმა მარინა ენდელაძემ დაუდასტურა. **„ორივე ახალი პაციენტის მდგომარეობა მძიმე არაა, აქვთ მსუბუქად გამოხატული სიმპტომატიკა. მათი პასუხები გვიან ღამით მივიღეთ. კლინიკაში ამ მომენტისთვის 37 პაციენტი იმყოფება, 15 მათგანისგან ანალიზები ჯერ არ აგვიღია. ამ ეტაპისათვის აუცილებელია, საზოგადოებამ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს“,** — განაცხადა ენდელაძემ.

**საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 15 შემთხვევაა დადასტურებული, კარანტინის რეჟიმშია 141 ადამიანი, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ — 51. პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა — დაავადებული საქართველოს მოქალაქე ქვეყანაში აზერბაიჯანის გავლით ირანიდან შემოვიდა.**

# თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის უმეტესი შემთხვევა საჯარო სექტორსა და სამედიცინო დაწესებულებებში აღირიცხება

**თამბაქოს** მოხმარების წესების დარღვევის უმეტესი შემთხვევა საჯარო სექტორში ხდება, — ამის შესახებ აღნიშნულია პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტში, რომელიც ბიუროს დღეს წარედგინება. დადგენილების პროექტში საუბარია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის აღსრულების მდგომარეობაზე. დოკუმენტში ნათქვამია, რომ თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის უმეტესი შემთხვევები საჯარო სექტორის გარდა, სამედიცინო დაწესებულებებშიც აღირიცხება.

**„ეს საჭიროებს ამ დაწესებულებებში გააქტიურებულ მონიტორინგს“,** — ნათქვამია პროექტში.

# ვაკიჯვარში ხანძარი ლოკალიზებულია

**გურიაში,** სოფელ ვაკიჯვარში ხანძარი ლოკალიზებულია. **გუშინ სოფლის ტერიტორიაზე სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. სამუშაოებში ჩართული იყო ტექნიკა და 120 მეხანძრე-მაშველი, ასევე გურიის სატყეო სამსახურის თანამშრომლები. არეალის მონიტორინგი დრონით ხორციელდებოდა.**

ოზურგეთში, სოფელ ვაკიჯვარში 8 მარტს ცეცხლი ქარსაცავ ზოლს გაუჩნდა. ხანძრის გაჩენის მიზეზად დაუდევრობა დასახელდა, რაც, სავარაუდოდ, საგაზაფხულო სამუშაოებს უკავშირდება.

# საზღვარგარეთ სამუშაო მივლინებები და სასწავლო ვიზიტები დროებით იზღუდება

**პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მორიგი სხდომა გამართა. საბჭოს სხდომაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებული 15 პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მსოფლიოში არსებული ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ ინფიცირებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, შედარებით გართულებული შემთხვევაც სტაბილურად მიმდინარეობს. პაციენტებს შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.**

საკოორდინაციო საბჭოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე კარანტინში რჩება 141 ადამიანი, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება 51 პირი.

დღეს საბჭოს წევრებმა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში ახალი გადაწყვეტილებები მიიღეს. სახელმწიფო უწყებებს მიეცათ მკაცრი რეკომენდაცია, უკიდურესი აუცილებლობის გარდა, მაქსიმალურად შეიზღუდოს სამუშაო მივლინებები საზღვარგარეთ. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება სასწავლო ვიზიტებსაც, რის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს.

# ევროპის მრავალ ქვეყანაში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა იზრდება

**მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში მსოფლიოს 39 ქვეყანაში 12,1 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ქართული ღვინოა ექსპორტირებული, რაც გასული წლის ამავე პერიოდის იდენტური მაჩვენებელია, — იუწყება ღვინის ეროვნული სააგენტო.**

მათივე ინფორმაციით, ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 31 მლნ აშშ დოლარია, რაც 2019 წლის იანვარ-თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7%-ით აღემატება.

**„ექსპორტის ზრდის კარგი ტენდენცია გამოიკვეთა ევროპის ქვეყნების, ასევე იაპონიისა და კანადის მიმართულებით. სტაბილურია ასევე ბრენდისა და ჭაჭის ექსპორტი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ღვინის ღირებულების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი აღემატება რაოდენობრივ მაჩვენებელს, რაც მიუთითებს, რომ ქართული ღვინის ფასი ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას“** — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ.

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია რუსეთი —

7.585.000 ბოთლი (-13%), უკრაინა — 1.314.750 ბოთლი (+35%) პოლონეთი — 1.1103.84 ბოთლი (+77%), ჩინეთი — 562.664 ბოთლი(-6%) და ყაზახეთი — 274.068 ბოთლი (-21%).

2 თვის მონაცემებით ექსპორტის ზრდა აღირიცხება ევროპის ქვეყნების მიმართულებით: ლატვია — 230.730 ბოთლი (+30%), გერმანია — 150.862 ბოთლი (+53%), ლიტვა — 115.992 ბოთლი (+11%), ესტონეთი — 97.326 ბოთლი (+29%), შოტლანდია — 53.124 ბოთლი (100%), დიდი ბრიტანეთი — 35.046 ბოთლი (+349%), ნიდერლანდები - 21.006 ბოთლი (2593%) და ა.შ. ასევე აღსანიშნავია იაპონია — 16.512 ბოთლი (+86%), კანადა — 40.740 ბოთლი (+5%), ბელარუსი — 146.598 ბოთლი (+82%), მოლდოვა — 32.988 ბოთლი (+16%), სამხრეთ კორეა — 26.700 ბოთლი (+100%) და სხვა.

წლის დასაწყისში ღვინის ბრენდი, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტი 140-მა კომპანიამ განახორციელა. საანგარიშო პერიოდში 8,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 4,25 მლნ ბოთლი ბრენდია ექსპორტირებული (ზრდა 1%) და 272 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 102 ათასი ბოთლი ჭაჭა (ზრდა 20%).

მთლიანობაში ღვინის ბრენდი, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 46,8 მლნ აშშ დოლარი, რაც 7%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

# ქართველების გაღარიბების შეჩერება შესაძლებელია...

## ირაკლი გოგავა:

## მხოლოდ მრეწველობის განვითარებით!..

**„თუ გვინდა, ეშველოს ჩვენს ქვეყანას და ხალხს, მხოლოდ წარმოების განვითარება არის მართებული გზა“,** — ამის შესახებ პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა** სოციალურ ქსელში წერს.

**„საქართველოს და ქართველების გაღარიბების შეჩერება შეიძლება მხოლოდ მრეწველობის განვითარებით! ყველა განვითარებული ქვეყანა მხოლოდ მრეწველობის განვითარებით გახდა განვითარებული. ეს აქსიომაა და მას ალტერნატივა არა აქვს. დღეს საქართველო უცხოეთიდან ნასესხებ ფულს მილიარდობით ხარჯავს გზების პროექტებზე და მრეწველობის განვითარებას კი მხოლოდ რამდენიმე ათეულ მილიონს ახმარს. გზა და ინფრასტრუქტურა უდავოდ კარგია, მაგრამ ის არ ქმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს და არ ქმნის სიმდიდრეს ხალხისთვის. მრეწველობის განვითარება კი იმდენ შემოსავალს მოიტანს, რომ გზებს საკუთარი ფულით დააგებ და არა ნასესხებით.“**

ქვეყანამ ტურიზმიდან 43 მილიარდი დოლარი შემოსავალი მიიღო. იმის გამო, რომ არ ვაწარმოებთ იმ პროდუქტს, რასაც ჩამოსული ტურისტი მოიხმარს, ამ თანხის 2/3 ანუ 42 მილიარდი ისევ საზღვარგარეთ მიდის იმ საქონლის შემოსატანად, რაც ტურისტს სჭირდება: სურსათი, ბენზინი, ავეჯი, პირსახოცი, ღვინის და ლიმონათის ბოთლი, ჭურჭელი, თეთრეული და ასე შემდეგ. ანუ ამ 42 მილიარდით, რომელიც ჩვენთან უნდა დარჩენილიყო, სხვა ქვეყნებში ვქმნით 100 000 სამუშაო ადგილს. ამას დაუმატეთ ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროდუქტის იმპორტი (47 მილიარდი), რომლითაც კიდევ 250 000 სამუშაო ადგილს ვქმნით სხვა ქვეყნებში. გამოდის, რომ უცხოეთში ჩვენი ფულით პირდაპირ ვქმნით 350 000 სამუშაო ადგილს, ხოლო ირიბად 1,2 მილიონ სამუშაო ადგილს. ეს მაშინ, როდესაც ჩვენთან უმუშევარი 1 მილიონი ადამიანია და მათ მთავრობა თვითდასაქმებულად თვლის, იყენებს რა დასაქმებულობის განსაზღვრის ყალბ მეთოდოლოგიას.

სად არის გამოსავალი? არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ის მილიარდები, რასაც სესხად გზებისთვის გვაძლევენ, შეიძლება, რომ მოგვცენ საწარმოების აშენებაზე. ეს არ შედის იმ ფინანსური ინსტიტუტების ინტერესებში. აქ გამოსავალი არის შემდეგში:

**1. საბანკო სექტორი დღეს სიხარულით იძლევა სამომხმარებლო სესხებს ანუ ფაქტიურად აკრედიტებს უცხოურ კომპანიებს, რომლის საქონელიც იყიდება ჩვენთან (ტელეფონი, ავტომობილი, მაცივარი, ტელევიზორი, მტვერსასრუტი, ავეჯი...). ბანკებს უნდა დაუწესდეს ვალდებულება და მინიმუმ 30%-იანი საკრედიტო პორტფელი წარმოების დასაკრედიტებლად გამოყონ. ეს დაახლოებით 42,5 მილიარდი დოლარის სამრეწველო ინვესტიციაა წელიწადში, რაც ნიშნავს ყოველწლიურად 80 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას პირდაპირ და ირიბად კი 200 000. მსგავსი მიდგომით ჩვენ 5-6 წელიწადში შევძლებთ უმუშევრობის აღმოფხვრას, ხოლო ეკონომიკა კი გაორმაგდება.**

**2. ამასთან აუცილებელია:**

ა) მრეწველობის საოპერაციო ხარჯების შემცირება/ოპტიმალიზაცია. მრეწველობისთვის ელექტორენერგიის, წყლის, კანალიზაციის, ბუნებრივი აირის ტარიფები მოსახლეობის ტარიფზე იაფი უნდა იყოს, როგორც ეს ევროკავშირშია.

ბ) საწარმოებისთვის 2-3-წლიანი საგადასახადო არდადეგები.

გ) სახელმწიფოს მიერ პოლიტიკის შემუშავება, მრეწველობის რომელი დარგები უნდა განვითარდეს პრიორიტეტულად პირველ 5-6 წელიწადში და უპირატესობა მიეცეს იმ დარგებს, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულს მოიხმარენ.

დ) საწარმოო ხაზების და იმ ნედლეულის იმპორტი, რომელიც ვერ იწარმოება ქვეყანაში უნდა გათავისუფლდეს დღგ-ს და იმპორტის გადასახადისგან.

ე) დაუბეგრავი ბრუნვის მინიმუმი ბიზნესისთვის უნდა გაიზარდოს წლიური 500 000 ლარამდე.

ვ) დღგ-ს გამოყენება მრეწველობისთვის უნდა მოხდეს „ჩინური მოდელით“, სადაც საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად საჭირო ნედლეული, მასალები, დეტალები იბეგრება 0, 1, 3 ან 5%-იანი დღგ-ს განაკვეთით, რაც გააიაფებს საბოლოო პროდუქტს და კონკურენტულს გახდის მსოფლიოში.

ზ) უნდა აღიკვეთოს დემპინგი იმპორტზე და სუბსიდირებული პროდუქციის იმპორტი, რომელიც საზღვარზე საკომპენსაციო მოსაკრებელს გადაიხდის.

თ) მსხვილ იმპორტიორებს მიეცეს წინადადება, გახსნან საწარმოები საქართველოში ან შეუკვეთონ პროდუქციის წარმოება უკვე არსებულ საწარმოებს და იმპორტის გადასახადით ამ პროცესის სტიმულირება.

ი) სათბურის გაზის იაფი ტარიფი და სათბურების კონსტრუქციების განვადებით გადაცემა მსურველ მეწარმეებს.

კ) დიზელზე აქციზის, სახელმწიფო მოსაკრებლის გაუქმება — ეს გააიაფებს მიწის დამუშავებას და აგრარულ სფეროს სტიმულს მისცემს. პარალელურად უნდა შეიზღუდოს დიზელისძრავიანი მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

ლ) აგრარული სავაჭრო სახლის სააქციო საზოგადოების „ქართული სახლის“ შექმნა, რომელიც გარანტირებულ და წინასწარ გამოცხადებული სამართლიანი ფასით ჩაიბარებს ფერმერისგან მოსავალს და უზრუნველყოფს მის გატანას საზღვარგარეთ.

თუ გვინდა, ეშველოს ჩვენს ქვეყანას და ხალხს, მხოლოდ წარმოების განვითარება არის მართებული გზა. ეს არის ძირითადი, რაც 15-20 წუთში თეზისებად ჩამოვწერე. ამ თეზისების საფუძველზე კი 2-3 კვირაში მრეწველობის განვითარების დეტალური სახელმწიფო პროგრამის დაწერა შეიძლება მეცნიერების, დარგის სპეციალისტების მონაწილეობით და ბიზნესთან კონსულტაციებით.

**P. S. თქვენი აზრით, მრეწველობის რომელი დარგების განვითარება უნდა იყოს პრიორიტეტული პირველ 5-6 წელიწადში? წელიწადზე მეტია ამ საკითხს ვსწავლობ, უამრავ ლიტერატურას ვეცნობი, სხვა ქვეყნების გამოცდილებას და საინტერესო იქნება თქვენი აზრი“,** — წერს ირაკლი გოგავა.

◎ რაგბი

# მეთორმეტედ - ვადამდე!

**რაგბი ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მეოთხე ტურში პორტუგალიამ საქართველოს ნაკრებს საფრანგეთში უმასპინძლა. „ბორჯღალოსანთათვის“ ამ შეხვედრას იმ მხრივაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ, წარმატების შემთხვევაში, ჩემპიონობას ვადამდე გაინაღდებდნენ.**

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. საგულისხმოა, რომ 60 წუთის განმავლობაში პორტუგალიელები ქართველებს სათანადო მეტოქეობას უწევდნენ. ისინი გაშლილ თამაშს ამჯობინებდნენ, სტუმრები კი შერკინებაში ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, თუმცა, რამდენჯერმე დაჯარიმდნენ და პორტუგალიას ქულების მოპოვების შანსი მისცეს.

„ბორჯღალოსნებმა“ პირველი ლელო მე-4 წუთზე გაიტანეს — თავი შალვა მამუკაშვილმა გამოიჩინა, რასაც სოსო მათიაშვილის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. პორტუგალიელებმა მალევე ლელოთი უპასუხეს და ანგარიში გაათანაბრეს, 23-ე წუთზე კი ნომინალური მასპინძლები წინაც გავიდნენ — 14:12. ამის მიუხედავად, ქართველმა მორაგბეებმა პირველი ტაიმი მაინც მოიგეს — 17:14. შესვენების შემდეგ პირენეელთა უპირატესობა უფრო თვალშისაცემი გახდა. მეორე წუთზე ბელუმ ლელო გაიტანა და თავისიანები დაანინაურა — 21:17. პორტუგალიელებს ანგარიშის გაზრდის შანსი რამდენჯერმე მიეცათ, თუმცა, ანტუნეშმა ორი ჯარიმა გააფუჭა. მერე თანდათანობით ქართველებიც მოეგნენ გონს და 57-ე წუთზე თანაგუნდელთა იერიში საღინაძემ ლელოთი დააგვირგვინა. მატჩის ბოლო 15 წუთი ჩვენებურთა კარნახით წარიმართა და სტუმრებმა ამ სეზონში ზედიზედ მე-4 გამარჯვება მოიპოვეს — 39:24.

საქართველოს ნაკრები ნაადრევად, თანაც მეთორმეტედ გახდა ევროპის ჩემპიონი. „ბორჯღალოსნები“ ბოლო მატჩს 14 მარტს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე რუსეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

**ლეძსო ცინცაძე**

◎ ფიგურული ციგურაობა

# მსოფლიოს „ვერცხლი“ - ქართულ დუეტს

**ტალინში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავე ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს მოცეკვავე წყვილმა, რომელმაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მარია კაზაკოვა და გიორგი რევია ასპრეზობის სტარტზე რიტმულ ცეკვებში 69,98 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ — პირველ ადგილზე მყოფ რუსებს — ელიზავეტა შანაევასა და დევიდ ნარიჟნის 0.05 ქულით ჩამორჩებოდნენ. თავისუფალ ვარჯიშში ჩვენმა წყვილმა 106,21 ქულა მიიღო და ჯამში 176,19 ქულით პაექრობა მეორე ადგილზე დაასრულა. ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონობა 177.18 ქულით ამერიკელებმა — ევონლი ნგუენმა და ვადიმ კოლესნიკმა მოიპოვეს. 175.17 ქულით მესამე ადგილი რუსებს — შანაევასა და ნარიჟნის ხვდათ.**

ესტონეთის დედაქალაქშივე წყვილთა შორის ჩვენმა მოცეკვავეებმა ალინა ბუტაევამ და ლუკა ბერულავამ ორი პროგრამის ჯამში 153,17 ქულით მე-7 ადგილი დაიკავეს. გოგონებში 148.11 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა ალინა ურუშაძემ. ასევე მე-18 იყო ვაჟებში ნიკა ეგაძე (180.66 ქულა).

**ლელა მდინარაძე**

◎ ჭადრაკი

# ნანა ძაგნიძე ლიდერთა შორისაა

**მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მესამე ეტაპზე, რომელსაც ლოზანა (შვეიცარია) მასპინძლობს, სხვადასხვა ქვეყნის 12 დიდოსტატი ეცილება ერთმანეთს პირველობას. ბოლო ორ ტურში კარგად ითამაშა ევროპის 2017 წლის ჩემპიონმა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც უკრაინელ დებს — ანა და მარია მუზიჩუკებს ქულანახევარი აართვა — შავი ფიგურებით ანას მოუგო, ხოლო თეთრებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მარიას დაუზავდა, ექვსი შესაძლებლობიდან 3.5 ქულას მოუყარა თავი და ლიდერებს — ალექსანდრა გორიაჩკინასა და ალინა კაშლინსკაიას (ორივე — რუსეთი) ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.**

**ექვსი ტურის შემდეგ**: ალექსანდრა გორიაჩკინა, ალინა კაშლინსკაია — 4-4, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), ნანა ძაგნიძე, ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი) — 3.5-3.5, ანა მუზიჩუკი, მარია მუზიჩუკი, პია კრამლინგი (შვედეთი) — 3-3, ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი) — 2.5, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მარი სებაგი (საფრანგეთი), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) — 2-2 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ხუთი ტური დარჩა.

**გივი გაგუა**

◎ ფარიკაობა

# სანდრო ბაზაძის მსოფლიო თამასა

**იტალიაში კორონავირუსის გავრცელების გამო უსაფრთხოების მიზნით მოხმალავე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებას ლუქსემბურგმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში პლანეტის უძლიერესი მუშკეტერები მონაწილეობდნენ, მათ შორის — ქართველები.**

სანდრო ბაზაძე განთესილთა შორის გახლდათ, ამიტომ ჯგუფურ ტურნირში არ უასპარეზია — ქართველი მოხმალავე პირდაპირ პლეი ოფში ჩაება. პირველ წრეში მან იაინჰუიანი (ჩინეთი) დაამარცხა — 15:13, მერე სებასტიენ პატრისის (საფრანგეთი) სძლია — 15:10, მერვედფინალში კი იტალიელ ლუიჯი სამელესთან ორი ჩხვლეტის სხვაობით — 13:15 წააგო და მე-9 ადგილი დაიკავა. ლუქსემბურგის ტურნირის კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. არონ სილადი (უნგრეთი), 2. კუ ბონ-გილი (კორეა), 3. ო სან-უკი (კორეა) და ვენიამინ რეშეტნიკოვი (რუსეთი).

მსოფლიოს თასის შედეგების გათვალისწინებით ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FIE) მოხმალავე ვაჟთა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც სანდრო ბაზაძეს კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს — მე-7 ადგილი!

მოხმალავე ვაჟთა პირველი ათეული ასეთია: ო სან-უკი (კორეა, 263 ქულა), მაქს ჰარტუნგი (გერმანია, 203), ელი დერშვიცი (აშშ, 197), ლუკა კურატოლი (იტალია, 180), არონ სილადი (უნგრეთი, 172), ბოლად აპიტი (საფრანგეთი, 164), სანდრო ბაზაძე (საქართველო, 131), კამილ იბრაგიმოვი (რუსეთი, 131), კუ ბონ-გილი (კორეა, 129), ვენიამინ რეშეტნიკოვი (რუსეთი, 128).

გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში 24 ნაკრები მონაწილეობდა. ქართველმა მოხმალავეებმა (სანდრო და ბექა ბაზაძეები, ვაჟა რეჭია) სტარტზე არგენტინას მოუგეს დაძაბულ პაექრობაში — 45:44, მომდევნო შეხვედრაში გერმანელებთან დამარცხდნენ — 32:45, შემდეგ კი ზედიზედ ჩამოიშორეს გზიდან ბელარუსი — 45:34, რუმინეთი — 45:42, ჩინეთი — 45:42 და მე-9 ადგილზე გავიდნენ.

**ლაშა დიდია**

◎ ლეგიონერები

# შენგელიამ შერმადინს აჯობა

**ესპანეთის ლიგა ენდესას XXIII ტურში ქართული დერბი შედგა — თორნიკე შენგელია გიორგი შერმადინის წინააღმდეგ. მიმდინარე სეზონში „იბეროსტარ ტენერიფე“ უკეთ ირჯება, მაგრამ ამჯერად „ბასკონიამ“ იძალა და იოლად — 75:58 მოიგო.**

ვიტორიელებმა პირველი და ბოლო მეოთხედები თითო ქულის სხვაობით წააგეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე-მესამე პერიოდებში იმდენად კომფორტული უპირატესობა ჰქონდათ, რომ მათ გამარჯვებაში ეჭვი არავის შეუტანია.

თორნიკე შენგელიამ 24 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 4-დან 2 ორქულიანი (50%) და 8-დან 7 საჯარიმო (88%) ჩააგდო, ხოლო ორი სამქულიანი აცილა (0%). შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა, რაც მხოლოდ გიორგი შერმადინზე და თანაგუნდელ ლიმანე დიოპზე (19) დაბალი შედეგი გამოდგა.

რაც შეეხება შერმადინს, „ჯვაროსანმა“ ცენტრმა 25 წუთში 16 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა და შედეგად ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა. გიორგიმ 11-დან 7 ორქულიანი (64%) და 4-დან 2 საჯარიმო (50 %) ჩააგდო. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 20-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, თუმცა, რადგან „იბეროსტარმა“ წააგო, ჩვენებური MVP-ის ტიტულის გარეშე დარჩა.

„ბასკონიამ“ ზედიზედ მესამე თამაში მოიგო და პლეი-ოფის ზონაში შეაბიჯა. ბასკებს 12 გამარჯვების წილ 11 წაგება აქვთ და მერვე ადგილზე არიან, ხოლო მომდევნო ტურში 15 მარტს „ვალენსიას“ ესტუმრებიან. „იბეროსტარ ტენერიფე“ კი 14 გამარჯვებითა და 8 მარცხით იწონებს თავს, რაც მეოთხე შედეგია. შერმადინი და მისი თანაგუნდელები 14 მარტს ბექა ბურჯანაძის „გრან კანარიას“ სტუმრად დაუპირისპირდებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**„კრისტალბეთ ეროვნული ლიგა“. II ტური. „ჩიხურა“ — „ლოკომოტივი“ 1:3, „თელავი“ — „დილა“ 1:1, „მერანი“ — „საბურთალო“ — 0:0, „დინამო“ — „ბათუმი“ 1:1, „სამტრედია“ — „ტორპედო“ 1:0.**

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლოკომოტივი“ — 6, „დილა“, „საბურთალო“ — 4-4 ქულა.

**ბომბარდირი:** სიხარულიძე („ლოკომოტივი“) — 4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ტორპედო“ — „ჩიხურა“, „ლოკომოტივი“ — „მერანი“ (11 მარტი), „საბურთალო“ — „დინამო“, „დილა“ — „სამტრედია“, „ბათუმი“ — „თელავი“ (12 მარტი).

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „ინტერი“ 2:0, „მილანი“ — „ჯენოა“ 1:2, „უდინეზე“ — „ფიორენტინა“ 0:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „სოსიედადი“ 1:0, „ბეტისი“ — „რეალი“ 2:1, „ატლეტიკო“ — „სევილია“ 2:2.

**ინგლისი.** „ლივერპული“ — „ბორნმუთი“ 2:1, „მანჩესტერი“ — „სიტი“ 2:0, „არსენალი“ — „ვესტ ჰემი“ 1:0, „ჩელსი“ — „ევერტონი“ 4:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „აუგსბურგი“ 2:0, „გლადბახი“ — „დორტმუნდი“ 1:2, „ვილფსბურგი“ — „ლიაფციგი“ 0:0.

**გიორგი შოთაძე**

ხსოვნა

# ღვაწლმოსილი ექიმი

## თინა ფხაკაძე

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ექიმი გამოაკლდა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას — ქალბატონი თინა ფხაკაძე, რომელმაც სიცოცხლის და პროფესიული მოღვაწეობის ხანგრძლივი გზა განვლო.

თინა აკაკის ასული ფხაკაძე დაიბადა 1925 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში. ქუთაისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1942 წლიდან სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით სანიტარიულ-ჰიგიენური საქმე და მიენიჭა ექიმის კვალიფიკაცია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქალბატონი თინა იწყებს პრაქტიკულ საქმიანობას და 1953 წლიდან მოღვაწეობს ქალაქ რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორის თანამდებობაზე.

1970-1973 წლებში იყო თბილისის გ. ანთაძის სახელობის სანიტარიის და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკი სამკურნალო კვების ლაბორატორიაში. ამ წლებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. 1973 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის რესპუბლიკურ კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორის თანამდებობაზე.

1974 წლიდან კი მუშაობას აგრძელებს თბილისის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლის განყოფილებაში ექიმ-ენდოკრინოლოგის თანამდებობაზე, სადაც თავდადებით და პირნათლად იმუშავა 22 წელიწადი.

მისი ერუდიცია, მდიდარი კლინიკური გამოცდილება, პროფესიული ინტუიცია, მკურნალობის უახლესი მეთოდების ცოდნა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მართებული ტაქტიკის ჩამოყალიბება განაპირობებდა მისი, როგორც პრაქტიკოსი ექიმის წარმატებას.

ქალბატონი თინას მიზანი სიკეთის კეთება იყო. მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი იყო უშუალობა, უბრალოება, ნებისმიერი ადამიანის დახმარება, გვერდში დგომა და იმედის მიცემა, ნამდვილი კაცთმოყვარეობა, რაც შერწყმული იყო მის დახვეწილ, ლამაზ, სანდომიან გარეგნობასთან. მისი პროფესიონალიზმისა და კაცთმოყვარეობის მაგალითია გადარჩენილი მრავალი სიცოცხლე და მადლიერი პაციენტი.

დატვირთული პროფესიული საქმიანობის მიუხედავად, იგი გახლდათ შესანიშნავი მეოჯახე, საუკეთესო კულინარი, ხელსაქმის მცოდნე, მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე, დედა, ბებია, დიდი ბებია.

1986 წელს ნაყოფიერი საექიმო საქმიანობის გამო ქალბატონ თინას გამოეცხადა მადლობა. 1989 წელს კი დაჯილდოვდა „შრომის ვეტერანის“ მედლით ხანგრძლივი კეთილსინდისიერი შრომის გამო. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის ექიმის და რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

ქალბატონი თინას სიბრძნე, სიყვარული, კეთილშობილება და შრომისმოყვარეობა ყოველთვის იქნება შთაგონების წყარო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა. დაე, სამარადისო სასუფეველი დაიმკვიდროს ზეციურ საქართველოში.

**კოლეგები და ახლობლები**

სანთელი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატი, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, აჭარის განათლების ყოფილი მინისტრი, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარის ქალთა დარბაზის ხელმძღვანელი, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ნანი გუგუნავა

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

პანაშვიდი 11 III, 16 სთ. მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის 53, მე-2 სადარბაზო. დაკრძალვა 12 III, 15 სთ. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან.

---

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ლამარა გაგუა, დალი ბოჯგუა, მადონა მგელაძე, ლუბა ბიბილეიშვილი იუწყებიან ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, მეგობრისა და თანამოსაქმის, პროფესორ

## ნანი გუგუნავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის ღვაწლმოსილი მუშაკის

## ნოდარ ირემაძის

გარდაცვალების გამო.

ნოდარ ირემაძე დაიბადა 1953 წ. 29 აგვისტოს ხულოს რ-ნის სოფ. ირემაძეებში. 1970 წ. დაამთავრა სოფ. დიდაჭარის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (საღამოს სწავლების ფაკულტეტი). 1971 წ. სწავლის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს საქ. მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტში. 1982 წლიდან სამუშაოდ გადადის საქმთავარენერგოს ტრესტ საქსოფლელექტრომშენის №2 სამშენებლო -სამონტაჟო სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა 1997 წლამდე. 1997-2006 წწ. საქმიანობას აგრძელებს სხვადასხვა ენერგოობიექტზე. 2006-2012 წწ. მუშაობდა აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანასო-საბიუჯეტო კომისიის აპარატის უფროსად. ჩვენი კავშირი კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ ოჯახსა და ახლობლებს ამ მძიმე დანაკარგს. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

**შვილები მანანა, მერაბ შენგელიები, სიძე დავით გულუა, შვილიშვილები მარიამ, იაკობ გულუები, ბიძაშვილი გიორგი ნაჭყებია, რძლები თინა ჭკადუა, მზია შენგელია, ბიძაშვილისშვილები გია, მედეა, ბადრი, ლევან ნაჭყებიები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი**

## ვალია ალექსანდრეს ასული ნაჭყებია.

**პანაშვიდი: 10, 11 III. მის: თბილისი, კანდელაკის 17, ბინა 6.**

**გამოსვენება: 12 III, 14 სთ. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან (მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი 32). დაკრძალვა წყნეთის სასაფლაოზე.**

**ოთარ ფაცაცია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

## ნუგზარ ლატარია

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახს მისი უდროოდ გარდაცვალების გამო.**

# დაუვიწყარი ჟიული შარტავა და გენო ადამია





**ჟიული შარტავა და გენო ადამია არიან გმირები, რომელთა სახელებსაც შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს!**

ჟიული შარტავას 7 მარტს დაბადებიდან 76 წელი შეუსრულდებოდა. სენაკის რაიონის მოსახლეობა, სამხარეო და ადგილობრივი ადმინისტრაციის აქტიური მხარდაჭერით ყოველწლიურად აღნიშნავს მისი დაბადების დღეს.

წელს ვირუსის პანდემიის გამო, შეკრების შეზღუდვის ფონზე, იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში ჩატარდა ჟიული

შარტავას სულის მოსახსენიებელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის წარმომადგენლობის თანამშრომლები, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმისა და კულტურის ცენტრის მუშაკები.

თაიგულით შეიმკო ეროვნული გმირების — ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ბრძოლებში დაღუპული გენერლის გენო ადამიას ბიუსტები.

**ბორის დავითაია**

# 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიიდან 64 წელი გავიდა!

**1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიიდან გუშინ 63 წელი შესრულდა.**

**ტრაგედია თბილისში დღევანდელი მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დატრიალდა, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცებმა ქართველ ხალხს პირდაპირ ქუჩაში სასაკლაო მოუწყვეს.**

საზოგადოება საბჭოთა კავშირის მაშინდელი ლიდერის, სტალინისა და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ ე. წ. პიროვნების კულტის დაგმობას აპროტესტებდა. სწორედ ამიტომ გაიმართა აქცია სანაპიროზე, სადაც მაშინ იოსებ სტალინის ძეგლი იდგა.

აქციაზე მოგვიანებით გაისმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეაც, რაც, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით იმ დროს წარმოუდგენელი რამ იყო.

საბოლოოდ, 1956 წლის 9 მარტს ჯარისკაცებმა აქციის მონაწილეებს პირდაპირი ცეცხლი გაუხსნეს.

ოფიციალური ინფორმაციით, ტრაგედიის დროს 27 ადამიანი დაიღუპა, თუმცა გარდაცვლილების ზუსტი რაოდენობა დღემდე არაა ცნობილი.

თვითმხილველების თქმით, სამხედროები მსხვერპლის ოფიციალური რაოდენობის შესამცირებლად ცხედრებს პირდაპირ მტკვარში ყრიდნენ.

ე. წ. მშრალი ხიდის ქვის მოაჯირზე ბოლო პერიოდამდე იკითხებოდა ამოტვიფრული წარწერა: **„დიდება დიდ სტალინს!“**

ხიდის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის შედეგად, 2019 წელს ძველი მოაჯირი აიღეს და შესაბამისად, დღეს წარწერა აღარ არსებობს.

## კარანტინში საკუთარი ნებით



**ტეხასის ამერიკელმა სენატორმა ტედ კრუზმა გადაწყვიტა, რომ კარანტინში დარჩენილიყო მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ კორონავირუსით დაავადებულ ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი. სენატორს ჯერჯერობით არანაირი სიმპტომი არ აქვს და თავს ჯანმრთელად გრძნობს.**

სენატორის თქმით, ის ესაუბრა კორონავირუსით დაავადებულს და ხელიც ჩამოართვა. სწორედ ამის გათვალისწინებით, კრუზმა გადაწყვიტა, რომ ყველასთვის და ასევე მისთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ დროებით კარანტინში დარჩებოდა.

## 62 000 ადამიანი განიკურნა, 3 825 კი გარდაიცვალა

**ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოს 110-მდე ქვეყანაში 110 041 ადამიანია დაინფიცირებული.**

3 000-ზე მეტი ადამიანი კორონავირუსისგან ჩინეთის კონტინენტურ ნაწილში დაიღუპა, 366 იტალიაში, 194 კი — ირანში.

ჩინეთში ვირუსით 80 000-ზე მეტი ადამიანია ინფიცირებული.

ამასთან, 7 000-ზე მეტი ადამიანი არის ინფიცირებული სამხრეთ კორეასა და იტალიაში.

„ბიბისი“ წერს, რომ კორონავირუსით დაინფიცირების მკვეთრი ვარდნის გამო, ჩინეთის ქალაქ უხანში, 11 დროებითი ჰოსპიტალი დაიხურება, სადაც მსუბუქი სიმპტომების პაციენტებს მკურნალობდნენ.

## პორტუგალიის პრეზიდენტი თვითიზოლაციაშია

**მარსელუ რებელუ დი სოუზა რამდენიმე დღის წინათ იმყოფებოდა სკოლაში, რომელიც მოგვიანებით „კოვიდ-19“-ის გამო დახურეს.**

როგორც პორტუგალიის პრეზიდენტი აცხადებს, ის ორი კვირის განმავლობაში საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობას არ მიიღებს და საზღვარგარეთ დაგეგმილ ყველა ვიზიტს გააუქმებს.

პრეზიდენტის ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ პორტუგალიის ლიდერი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სკოლაში გასულ კვირას იმყოფებოდა, თუმცა პრეზიდენტის პრესსამსახური ამტკიცებს, რომ მარსელუ რებელუ დი სოუზასთან შეხვედრაზე ინფიცირებული ბავშვი ან მისი კლასელები არ იმყოფებოდნენ.

## კორონავირუსის შოკოლადი

**საფრანგეთში კონდიტერმა ჟან-ფრანსუა პრემ კორონავირუსის 33 მოდელის მსგავსი შოკოლადი შექმნა.**

დასავლეთ საფრანგეთში მან უკვე ათეულობით ასეთი შოკოლადი გაყიდა. მისი თქმით, კორონავირუსის ფორმის შოკოლადი მომხმარებლებში ამრთულ ჟამს ღიმილს იწვევს.

თავად მომხმარებლები ამბობენ, რომ შოკოლადი „კორონავირუსი“ ვირუსით ინფიცირების პანიკური შიშის საუკეთესო ვაქცინაა.

## აშშ-ის რვა შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

**საგანგებო რეჟიმის ამოქმედების შესახებ ორეგონის შტატის გუბერნატორმა ქეით ბრაუნმაც განაცხადა. რეჟიმი 60 დღის განმავლობაში იქნება ძალაში. ორეგონის შტატში ახალი კორონავირუსით ინფიცირების 14 შემთხვევაა დადასტურებული. ორეგონამდე მსგავსი ზომები ვაშინგტონის, კალიფორნიის, კენტუკის, ნიუ იორკის, მერილენდისა და იუთას შტატებმაც მიიღეს.**

ვაშინგტონში კორონავირუსით სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. გარდაცვლილთა რიცხვი 18-ს შეადგენს.

ორი ადამიანი ფლორიდაში, ერთი კი — კალიფორნიაში გარდაიცვალა. სულ კი ქვეყნის მასშტაბით ვირუსით ინფიცირების 500-მდე შემთხვევაა აღრიცხული.

## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7748; ევრო - 3.1386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6067;
100 რუბლი - 4.0872; თურქული ლირა - 0.4555;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6343;
1000 სომხური დრამი - 5.7838.

**ამინდი 10 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +22 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5 | დღე | +26 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +21 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge